4 კოალიცია ცვლილებისთვის

ახალი გირჩი მეტი თავისუფლება ერთა!

პერიოდული გამოცემა №1 23 აგვისტო, 2024

ჩვენ შეგვიძლია!

ამომრჩევლის ხმა ნამდვილად ფარულია

გვ.2

მითები და რეალობა ევროკავშირის შესახებ

გვ.3

პენსიების ქურდი მთავრობა



გვ.4

ISFED
სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

ამომრჩევლის ხმა ნამდვილად ფარულია

■ ნანა ლომიძე

მიუხედავად ზაფხულის უქმი სეზონისა, წინასაარჩევნო სამზადისი დაწყებულია. „ისფედის“ ოფისში შესვლისთანავე იგრძნობა სამუშაო „აურზაური“, რაც მთელი თვის განმავლობაში სუფევდა. ახლა ახალგაზრდა სტაფი მუშაობს. პროცესში ჩართულია მთელი გუნდი, ახალგაზრდა იურისტები, სოც. მედია ჯგუფები. ტაიმაუტი აქვთ აღებული სექტემბრის დასაწყისამდე. მალე ახალი ეტაპი დაიწყება, – ახალი მოხალისეების დატრენინგება. გრძელვადიანი ტრენინგები უკვე ჩატარდა. 1500 დამკვირვებელიყავთ, ვარაუდობენ, რომ ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

გიორგი მონიავა, *„სამართლიანი არჩევნები“, ექსპერტი:* ეს არჩევნები ბევრი კუთხით არის მნიშვნელოვანი და განსხვავებული – ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ეს პირველი არჩევნებია და დემოკრატიული და შესაბამისი სტანდარტების დაცვით, უფრო მეტი ვალდებულება და უფრო მეტი პრეტენზია უნდა გვქონდეს. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები და მთელი მსოფლიო მეტი ყურადღებით გვიყურებს.

ასევე, იმ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ტარდება. ამ მასშტაბით არასოდეს ყოფილა გამოყენებული ტექნოლოგიები. ამიტომაც, უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, ვინაიდან ინფორმირებული ადამიანი მნიშვნელოვანია. ეს ჩვენთვისაც ახალი გამოწვევებია, ჩვენი მეთოდოლიგიაც ამას მოერგება. მთავარია, ტექნოლოგიების მიმართ ამომრჩეველს ნდობა ქონდეს.

ასევე პირველად ტარდება არჩევნები სრულად პროპორციულად. უმნიშვნელოვანესია მივიდეთ არჩევნებზე და ყველამ დავაფიქსიროთ ჩვენი ხმა. კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოში ხელისუფლების წყარო არის ხალხი. საზოგადოებამ უნდა მართოს ეს ქვეყანა, ასე მუშაობს დემოკრატია და ზუსტად ასე იწყება კონსტიტუციის მესამე მუხლი. თუ ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლების წყარო იყოს ხალხი და დემოკრატიული საზოგადოება – უნდა მივიდეთ არჩევნებზე და ჩვენი არჩევანი დავაფიქსიროთ. ყოველ ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როცა ასეთ გარდამტეხ და გადამწყვეტ ეტაპზეა ქვეყანა. ამომრჩეველს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მისი ხმა უდრის ძალიან დიდ პასუხიმგებლობას.

73 ოლქში გვყავს გრძელვადიანი დამკვირვებელი. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე „ისფედი“ დაკვირვებას რამდენიმე თვით ადრე იწყებს, ვაკვირდებით წინასაარჩეევნო პერიოდს. ჩემი გამოცდილებით, 10-15 წელია, დარღვევების ძირითადი ნაწილი, რომელიც აისახება შედეგებზე, წინასაარჩევნო პერიოდში ხდება. ეს არის ზეწოლა, მუქარა, მოსყიდვა. სახელმწიფო რესურსების გამოყენება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება – ეს, ძირითადად, წინასაარჩწევნო პერიოდში ხდება.

ჩვენმა ორგანიზაციამ 2022 წელს გამოსცა ანგარიში „სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში“, სადაც დეტალურადაა აღწერილი (რომ არ დავარღვიოთ უდანაშაულობის პრეზუმფცია, სავარაუდო უნდა ვუწოდოთ მათ) და საკმაოდ მაღალი სტანდარტით არის დასაბუთებული, თუ როგორ მუშაობენ კონკრეტული ერთი პარტიის სამსახურში სახელმწიფო სტრუქტურები, ჩინოვნიკები, თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები. როგორ იყენებენ სახელმწიფო რესურსს, რაც ასევე აკრძალულია. შესაბამისად, ეს რომ არ გამოგვეპაროს და საზოგადოება ინფორმირებული იყოს, ჩვენ ოთხი თვით ადრე ვიწყებთ დაკვირვებას. გრძელვადიანების ტრენინგების პირველი ეტაპი ბორჯომში გვქონდა. უკვე დავიწყებთ მოკლევადიანი დამკვირვებლების დატრენინგებას. გვყავს მოხალისე დამკვირვებლებიც – დიდი ხანია გახსნილი გვაქვს სარეგისტრაციო ფორმა, სადაც რეგისტრირდებიან ადამიანები. ერთი ეტაპი ჩავატარეთ, თბილისში გვქონდა უკვე ოთხი ტრენინგი, ასევე აბსოლუტურად ყველა რეგიონში ჩავატერეთ, სადაც იყო ხალხი დარეგისტრირებული. ხალხის შემართებითაა, იმედიანად. არჩევნებზე დამკვირვებლად ჩართვის სურვილიც და ენთუზმიაზმიც დიდია, რაც ძალიან კარგია, რადგან თითოეული მოქალაქე, ამომრჩეველი, გარკვეულწილად დამკვირვებელია და გარანტორია თავისი არჩევანის.

ინფორმირებული ამომრჩეველი ძალზე მნიშვნელოვანია. ის უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი ხმა ნამდვილად ფარულია, რადგან მანიპულაციის ყველაზე მსხვილი საშუალებაა, ამომრჩეველს უთხრა, მაინც გავიგებ ვის მიეცი ხმაო და ზეწოლა მოახდინო მასზე. ფაქტია, რომ ვრცელდება ხმები, სპეციალურადაც და უცოდინრობითაც, გავიგებ ვის მიეცი ხმა და გაგათავისუფლებ სამსახურიდან,ან, თქვენს შვილს დავითხოვ საჯარო სამსახურიდან, ან არ დაგიფინანსებთ ოპერაციას, შეგიწყვეტთ დახმარებას, და ასე შემდეგ. ადამიანზე ზემოქმედების მოხდენის სხვადასხვა ბერკეტი არსებობს. ამიტომ, აუცილებელია ამომრჩეველმა იცოდეს, რომ მისი ხმა არის ნამდვილად ფარული, თუ თვითონ არ გაამჟღავნებს მას. ეს აპარატები, რისი გამოყენებითაც ჩატარდება არჩევნები, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კონკრეტული ბიულეტენი ამომრჩეველს დაუკავშირო, არც ბიულეტენი შეიცავს რაიმე ნიშანს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი ამომრჩეველთან დაკავშირება, ეს თეორიულადაც გამორიცხულია, არ არსებობს. თუ თვითონ არ გაამჟღავნა, არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს, ან აიძულოს თქვას, ვის აძლევს ხმას, არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც.

თუ ამომრჩეველი ამ ცოდნით იქნება შეიარაღებული და დარწმუნდება, რომ მისი ხმა ნამდვილად ფარულია, შესაბამისად, ამ სახის ზეწოლსაც და მუქარას ელემენტარულად აზრი დაეკარგება. თუ უბანზე ხმის მიცემის დროს ელემენტარულ პროცედურებს დაიცავს, ვერავინ გაიგებს, ვის მისცა ხმა. მოხალისეების ერთი ეტაპი დავატრენინგეთ. მოგეხსენებათ, აგვისტოს მეორე ნახევარი დაიწყო და ხალხი დასვენების რეჟიმში გადავიდა. ამიტომ, სექტემბრის დასაწყისში კვლავ გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას.

მოხალისეები კიდევ რეგისტრირდებიან. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი მოტივირებულია, დამკვირვებელი იყოს, თუმცა, ტრენინგზე რომ მოდის, ხედავს რამხელა ცოდნასთან და კვალიფიკაციასთან არის ეს დაკავშირებული, 24 საათიან შრომასთან და რიგი მათგანი ცოტა ეჭვობს. თუ ის არ წამოვა, ინფორმირებული მაინც დარჩება და ესეც უკვე ძალიან დიდი საქმეა. მერე თვითონ წყვეტს, ნამდვილად უნდა თუ არა, შეეჭიდოს ამ საპასუხისმგებლო საქმეს, თუ ურჩევნია, მხოლოდ ამომრჩევლად დარჩეს. ჩვენ გვაქვს რესურსი, რამდენი მსურველიც იქნება, იმდენივე დავატრენინგოთ.

„ქართული ოცნების“ ერთადერთი მოკავშირე სახლში დარჩენილი ამომრჩეველია

■ **მარიამ მიქიაშვილი**

ხალხის მიერ ერთხელ უკვე მტკიცედ უარყოფილი „უცხოელი აგენტების“ კანონი, ანუ რუსული კანონი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დღის წესრიგში 2024 წლის 3 აპრილს დააბრუნა. ერთი დღით ადრე, 2 აპრილს, „აგენტების კანონს“ ხელი მოაწერა ყირგიზეთის პრეზიდენტმა, რითიც კანონი ძალაში შეიყვანა. 28 მაისს, საქართველოს პარლამენტის მიერ რუსულ კანონზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემდეგ, ბოსნია და ჰერცეგოვინის პრორუსულ, ეთნიკურად სერბულ ფედერალურ ერთეულში იმავე „აგენტების კანონის“ მიღება დროებით შეჩერდა. მსგავსი კანონი მიიღო „ოცნების“ მეგობარმა და ევროპაში პუტინის კაცად ცნობილმა ვიქტორ ორბანმაც.

შეუძლებელია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობა პრორუსულია ან სადაც რუსეთს დიდი გავლენა აქვს, „აგენტების კანონი“ უბრალო დამთხვევით ერთდროულად გაჩენილიყო. ცხადია, რომ ეს პრორუსული მთავრობები ერთდროულად ასრულებენ საერთო საქმეს, საერთო დავალებას. ბოსნიის სერბულ ნაწილში აშშ-ს მიერ სანქცირებულმა პრეზიდენტმა დოდიკმაც სწორედ საქართველოში ვეტოს დაძლევის საღამოს იმიტომ გააკეთა განცხადება კანონის მიღების დროებით შეჩერების შესახებ, რომ იგი ელოდება, თუ რა პოლიტიკურ ფასს გადაიხდის „ქართული ოცნება“ ამ ნაბიჯის გამო. ქართველი ხალხის უპრეცედენტო წინააღმდეგობისა და დასავლეთის თანადგომის შედეგად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების თამასა ძალიან აიწია. ის, რაც მოხდება საქართველოში, არ ეხება მხოლოდ ჩვენს ქვეყანას. თუკი ამ მძლავრი წინააღმდეგობისა და ეროვნული გამოღვიძების მიუხედავადაც კი „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას შეირგებს, მაშინ ევროპის არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი გაფართოების ქვეყნებში, როგორიც ბალკანეთის ქვეყნებია, ავტოკრატი და ოპორტუნისტი პოლიტიკოსები ჩათვლიან, რომ მათაც ყველაფერი გაუვათ და დაიწყებენ არადემოკრატიული, ადამიანის უფლებების შემლახავი კანონების მიღებას. დღეს საქართველო მთელ ევროპასა და ევრაზიაში სამოქალაქო უფლებებისა და ადამიანის თავისუფლების დაცვის მთავარი მედროშეა.

ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლისა და საქართველოში მიმდინარე მოვლენების საერთაშორისო მნიშვნელობის გამო, აშშ-მ და ევროკავშირმა კონკრეტულ ზომებს მიმართეს. აშშ-მ ისტორიაში პირველად დაუწესა სავიზო შეზღუდვები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, განიხილავს „მეგობარი აქტისა“ და „ქართველი ხალხის აქტის“ მიღებას საქართველოში იმ პირთა დასასჯელად, ვინც ძირს უთხრის დემოკრატიას და ვინც რუსეთს საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება; დაიწყო საქართველოს მთავრობასთან არსებული თანამშრომლობის ყველა ფორმატის გადახედვა და შეწყდა „ღირსეული პარტნიორის“ წვრთნები, რაც ერთადერთი საერთაშორისო და ნატო-ს სტანდარტების წვრთნები იყო, რომელიც ქართულ ჯარს პოტენციური ფართომასშტაბიანი კონვენციური ომის შემთხვევისთვის ამზადებდა. ვითარების კიდევ უფრო დამძიმების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღების პარალელურად, აშშ თავისუფალ ვაჭრობასა და სავიზო რეჟიმის გამარტივებასაც გვპირდება, თუკი რუსულ კანონს უკან გავიწვევთ, დასავლელ პარტნიორებზე თავდასხმებს შევწყვეტთ და დემოკრატიის გზას დავუბრუნდებით.

ევროკავშირის არაერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გაყინული და შეჩერებულია იქამდე, სანამ მთავრობა „აგენტების“ კანონს უკან არ გაიწვევს და ზოგადად დემოკრატიის გზას არ დაუბრუნდება. როგორც ლიეტუვის სეიმის ვიცე-სპიკერმა ჟიგიმანტას პავილიონისმა აღნიშნა, ევროკავშირში არავის სურს მეორე ორბანი ან მესამე პუტინი – ანუ „ქართული ოცნება“. საფრანგეთმა შეწყვიტა საქართველოსთვის საბიუჯეტო და ფინანსური მხარდაჭერის გამოყოფა, რაც 2012 წლიდან დღემდე თითქმის 1 მილიარდ ევროს შეადგენდა.

საქართველოში ვითარების კიდევ უფრო დამძიმების შემთხვევაში, ევროკავშირი ასევე განიხილავს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შეჩერებას. „ქართული ოცნების“ პროპაგანდა ამტკიცებს, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერება შეუძლებელია, რადგან ამას ევროკავშირის ყველა ქვეყნის თანხმობა სჭირდება; თუმცა, რეალურად, ეს საკითხი ხმათა უმრავლესობით წყდება და უნგრეთის პოზიცია ამაში გადამწყვეტი ვერ იქნება. რამდენიმე წლის წინ უვიზო რეჟიმი გარკვეული პერიოდით შეუჩერეს ალბანეთს. შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცულობაა, რაც, ჩვენი დასავლელი პარტნიორების აზრით, რუსული კანონის პირობებში ფუნდამენტურად ირღვევა.

შესაბამისად, ცხადია, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო ვერ გააგრძელებს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რის შედეგადაც ჩვენ დასავლურ სამყაროს სრულად მოვწყდებით. საქართველოს იზოლაცია დასავლეთისგან ემსახურება რუსეთის გეგმას, საქართველო რუსეთის პირისპირ მარტოდმარტო, ერთგული მეგობრებისა და მათი დახმარების გარეშე დარჩეს. „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ დასავლური დაფინანსებების შეჩერებით ქართული სახელმწიფო არ დაიქცევა და არც ქართულ ჯარს დააკლდება რამე, აპელირებს რა ხალხის პატრიოტიზმის განცდაზე, თითქოს ქართულ ჯარზე მთავარი მზრუნველი ის მთავრობა იყოს, რომელიც მსოფლიოში ერთადერთია პუტინის რუსეთის გარდა, 2008 წლის ომის დაწყებას სააკაშვილს და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს რომ აბრალებს. ასეთი განცხადება ქართულმა ოცნებამ 13 აგვისტოს გააკეთა.

დასასრული მე-3 გვერდზე ➢

მითები და რეალობა ევროკავშირის შესახებ

■ ნიკა ფარულავა

მშვიდობა, უსაფრთოება, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა, წევრი სახელმწიფოების ისტორიული, კულტურული, ტრადიციული და ეროვნული იდენტობის დაცვა და შენარჩუნება, არის ის მიზნები, რის გარშემოც ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფო და მისი თითქმის 450 მილიონი მოქალაქეა გაერთიანებული. ევროკავშირი არის ცივილიზაციური ერთობა, უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, რომლის უმთავრეს ღირებულებებს წარმოადგენს ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობის დაცვა და პატივისცემა. ეროპული კავშირი არის ადამიანების თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული ორგანზიაცია, რომელიც პატივს სცემს ყველა სახელმწიფოს მოქლაქეების არჩევანს – გაწევრიანებაც და დატოვებაც ნებაყოფლობითია.

ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწფიოები ეხმარებიან არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს, არამედ არაწევრ, პარტნიორ ქვეყენებსაც, რათა მათ მიაღწიონ განვითარების ისეთ ეტაპს, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება ის შესაძლებლობები, რომლებიც მათთვის მოიტანს ბედნიერებას.

ევროკავშირის დისკრედიტაციის მიზნით უამრავი მითი გექნებათ მოსმენილი. ვეცადოთ გავაბათილოთ რამდენიმე ყველაზე გავრცელებული მათგანი.

მითი 1 – *ევროკავშირი ებრძვის მართლამდიდებლობას.*

დავიწყოთ ევროკავშირის სიმბოლიკით, დროშით. ერთ-ერთი არაოფიციალური, მაგრამ ფართოდ გავრცელებული ვერსიით, ევროკავშირის დროშაზე გამოსახული 12 ვარსკვლავი არის მარიამ ღვთისმშობლის ძეგლებიდან და ხატებიდან გადატანილი. აღნიშნული 12 ვარსკვლავი გამოხატავს 12 მოციქულს, 12 თვესა და 12 საათს, ანუ მარადისობას. თავად დროშის პროექტის ავტორი დიზაინერი არსენ ჰეიცსა ამბობდა, რომ დროშის შექმნისას იგი რელიგიური მოტივით, წმინდა მარიამის ერთ-ერთი ქანდაკებით იყო შთაგონებული. მისი თქმით, დროშის სიმბოლიკა ქრისტიანული იკონოგრაფიის ტრადიციას ეფუძნება და წმინდა იოანეს გამოცხადების „აპოკალიფსის ქალწულს“ (წმინდა მარიამს) განასახიერებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ დროშის მთავარი მტრები კომუნისტები იყვნენ, რადგან არ მოსწონდათ მისი გარკვეული რელიგიური სიმბოლიზმი.

> ევროკავშირი არის ცივილიზაციური ერთობა, რომელიც დგას ადამიანის ღირსებისა და თავისუფალი ნების პატივისცემაზე, ოჯახზე, ტრადიციებზე, კულტურულ მრავალფეროვნებასა და რწმენის თავისუფლებაზე. ევროკავშირი ჩვენი ისტორიული ოჯახია.

ევროკავშირში ცხროვრობენ უძველესი მართლმადიდებლები – ბერძნები, ევროკავშირის წევრები არიან უდიდესი მართლმადიდებლური ტრადიციის მქონე ერები, ბულგარელები და რუმინელები.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია და მისი წევრი სახელმწიფოები პატივს სცემენ, უფრთხილდებიან და იცავენ თითოეული ადამიანის რწმენის თავისუფლებას, ქვეყნების რელიგიურ ძეგლებსა და ნაგებობებს. ამ ყველაფერს კი მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიმართ არ ახორციელებენ, არამედ მათი პარტნიროებისაც. მაგალითად, საქართველოში ნიქოზის საეპისკოპოსო კოპლექსის რეაბილიტაცია და ალავერდის კათედრალისთვის წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები ნიდერლანდებმა დაფინანსა.

მითი 2 – *ევროკავშირი ოჯახურ ღირებულებებს ებრძვის.*

ხშირად ვრცელდება მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროკავშირისთვის ოჯახური ღირებულებები უცხოა და მეტიც, თითქოს ის ებრძვის ოჯახს. სინამდვილეში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ოჯახური ღირებულებები – მისი წევრების პატივისცემა, ოჯახის სიმტკიცე და ერთგულება – ერთ-ერთი მთავარი ფასეულობაა.

მარტივი შედარება რომ გავაკეთოთ – მეორე და მესამე ქორწინების მაჩვენებელი პროცენტულად გაცილებით მაღალია რუსეთის ფედერაციაში (52%), ვიდრე მაგალითად ევროკავშირის წევრ იტალიაში, ლიეტუვაში, გერმანიაში, ბულგარეთში და ა.შ.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უდიდეს ყურადღებას უთმობენ ოჯახში ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ გადასადგმელ ნაბიჯებს და შემუშავებული აქვთ უამრავი პროგრამა. ოჯახების შენარჩუნების, გაძლიერებისა და სიმტკიცის მიზნით, ევროკავშირში მაღალი დასაქმებისა და მაღალი საშუალო ხელფასის პარალელურად უამრავი სოციალური პროექტი მოქმედებს.

მითი 3 – *ევროკავშირში გაწევრიანება ნიშნავს ომსა და დესტაბილიზაციას.*

სინამდვილეში, განსხვავებით რუსეთისგან, ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გრძელვადიანი, მყარი და გარანტირებული მშვიდობის მშენებლობა და შენარჩუნებაა, რასაც ორგანიზაცია და მისი წევრები წარმატებით ახორციელებენ. ევროკავშირის ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა ომი. არასდროს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო არ აღმოჩენილა სამხედრო აგრესიის სამიზნე. მეტიც, მოლდოვაში, რომელმაც სულ ახლახან დაიწყო ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, არანაირი საომარი მოქმედებები ან დაძაბულობა არ მომხდარა. 2012 წელს, ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა, ევროკავშირს ნობელის პრემია მიანიჭა კონტინენტზე მშვიდობისა და შერიგების სფეროში შეტანილი წვლილისთვის. ევროკავშირმა და მისმა წინამორბედებმა ექვს ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ევროპაში მშვიდობისა და შერიგების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების განვითარებაში. ეს იყო მნიშვნელოვანი მიღწევა იმის გათვალისწინებით, რომ იგი თავდაპირველად სწორედ ამ მიზნით შეიქმნა.

მითი 4 – *ევროკავშირი გვიყურებს როგორც უფროსი და მისი დირექტივების შესრულება მოგვიწევს.*

მორიგი მითი, რომელსაც ფართოდ ავრცელებენ ევროკავშირის დისკრედიტაციის მიზნით. სინამდვილეში, ევროკავშირში გადაწყვეტილებები კამათისა და დებატის შედეგად, კონსენსუსისა და შეთანხმებების საფუძველზე მიიღება. მეტიც, ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ის, რომ მისი წევრობაც და დატოვებაც ნებაყოფლობითი საკითხია. არ არსებობს ისტორიაში პრეცედენტი, როდესაც რომელიმე სახელწიფოსთვის ევროკავშირს ან მის რომელიმე წევრ ქვეყანას სამხედრო ან დიპლომატიური გზებით დაეძალებინოს კავშირის წევრობა ან მისი დატოვება.

ამიტომ, გვახსოვდეს, ევროკავშირი არის ცივილიზაციური ერთობა. ერთობა, რომელიც დგას ადამიანის ღირსებისა და თავისუფალი ნების პატივისცემაზე, ოჯახზე, ტრადიციებზე, კულტურულ მრავალფეროვნებასა და რწმენის თავისუფლებაზე. ევროკავშირი არის ჩვენი ისტორიული ოჯახი, სადაც გვექნება ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც მოგვიტანს გრძელვადიან და გარანტირებულ მშიდობას, უსაფრთხოებას, კეთილდღეობასა და რაც მთავარია, ბედნიერებას.

➢ *მე-2 გვერდიდან*

„ქართული ოცნების“ ერთადერთი მოკავშირე სახლში დარჩენილი ამომრჩეველია

ამ განცხადებას იმის შესახებ, რომ ომი სააკაშვილმა, ანუ საქართველომ უცხოური ძალების მითითებით შეგნებულად დაიწყო, გაერო-ში რუსეთის ელჩი გამოეხმაურა. დმიტრი პოლიანსკის განცხადებით, საქართველოს მთავრობაც კი აღიარებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, თანაც დასავლეთის მითითებითო. „ქართული ოცნებისა“ და რუსეთის ხელისუფლების ასეთი ჰარმონიული თანხვედრა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო ინტერესებისა და სამშობლოს ღალატი.

„ქართული ოცნება“ იმაში შეიძლება მართალია, რომ დასავლეთის გარეშე ულუკმაპუროდ არ მოვკვდებით, მაგრამ როგორი ქვეყანა იქნება საქართველო, თუკი იგი თავიდან ბოლომდე რუსულ, ჩინურ და ახლოაღმოსავლურ სამყაროზე იქნება დამოკიდებული? რა მოხდება ქვეყანაში კორუფციის, ნეპოტიზმის, კრიმინალისა და ზოგადად განუკითხაობის კუთხით? ჩვენ ხომ არ ვუშვებთ ახალგაზრდებს სასწავლებლად რუსეთსა და ირანში, ანუ იქ, სადაც ქართულ ოცნებას პოლიტიკური და ფინანსური ზურგი ეგულება? დასავლეთის გარეშე დარჩენილი საქართველო იქნება რუსეთის (არარსებულ) კეთილ ნებასთან მარტო დარჩენილი უწესრიგო სოფელი, რომელსაც ახალგაზრდები და დოვლათის შემქმნელი ნიჭიერი ადამიანები მასობრივად დატოვებენ.

„ქართული ოცნების“ საჯარო გზავნილებს თუ დავეყრდნობით, ჩანს, რომ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ კუთხეში მიმწყვდეული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რეჟიმს ორი ფაქტორი ეიმედება: აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება და უკრაინის სამხედრო მარცხი, ანუ ომის იმ მდგომარეობაში გაყინვა ან დასრულება, რომელიც რუსეთს გარკვეულ ტერიტორიულ უპირატესობას ანიჭებს.

დავიწყოთ იმით, რომ „ქართული ოცნების“ პროპაგანდა, თითქოს დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მიმართ დაწესებული სავიზო შეზღუდვები თუ სანქციები მოიხსნება, არ არის რეალისტური. აშშ-ს სახელმწიფო სისტემის მოქმედება ინსტიტუტებზეა დამოკიდებული და ერთი კაცის ნებას ნაკლებად ასახავს. ამიტომ აშშ-ს მიერ დაწესებული ინდივიდუალური სანქციების მოხსნა ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში არ ხდება. გარდა ამისა, „მეგობარი აქტის“ ავტორები, მაგალითად კონგრესმენი ჯო უილსონი, ტრამპის მომხრე რესპუბლიკელია. ახლახან საქართველოში ვიზიტით მყოფნა სენატორმა ჯინ შაჰინმა აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის დემოკრატიულ მისწრაფებას აშშ-ში ორპარტიული მხარდაჭერა აქვს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისია, დონალდ ტრამპის დამარცხება ბევრად უფრო რეალისტური და მოსალოდნელიც გახდა. არ შეიძლება, ხელისუფლებამ ერთი კანდიდატის მიმართ სიმპათია ასე ცხადად გამოხატოს, როცა აშშ-სთან პარტნიორობა ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების საკითხია. ეს არის „ქართული ოცნების“ უპასუხისმგებელო და სიცრუეზე დაფუძნებული ნაბიჯი. მეორე ფაქტორი, რაც „ოცნებას“ ეიმედებოდა, უკრაინაში რუსეთის შეჭრის გაყინული მდგომარეობა და დასავლეთში ომის შედეგად გამოწვეული დაღლილობის შეგრძნება იყო. „ოცნების“ გათვლით, დასავლეთი და რუსეთი დაზავდებოდნენ და ბიძინა ივანიშვილის საქართველოს რუსეთთან დაახლოებულ კორუმპირებულ, ავტორიტარულ სახელმწიფოდ ქცევას დასავლეთი აღარ გააპროტესტებდა, რადგან ამას მოცემულობად მიიღებდა. „ქართული ოცნების“ ამ იმედსა და ლოგიკას წყალი შეუყენა უკრაინის შეჭრამ რუსეთის ტერიტორიაზე, კურსკისა და ბელგოროდის ოლქებში. რუსეთის ტერიტორიაზე ასეთი მასშტაბური შეჭრის შედეგად მთელმა მსოფლიომ იხილა, რომ რუსეთის ბირთვული მუქარა მხოლოდ და მხოლოდ მუქარაა და მეტი არაფერი. წყალი შეუდგა იმ აზრსაც, რომ უკრაინას ამ ომის მოსაგებად რესურსი არ ჰყოფნის. „ეხო კავკაზას“ ცნობით, კურსკის ოლქის დასაცავად რუსეთი მოხალისეებს ეძებს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ის რუსეთი, რომლითაც ქართული ოცნება გვაშინებს, მოხალისეებს ეძებს ცხინვალში, რათა რუსეთის ტერიტორიიდან განდევნონ სულ უფრო თავდაჯერებული უკრაინელები.

ის დონალდ ტრამპი, რომელზეც ქართულმა ოცნებამ უდიდესი იმედი დაამყარა, დღევანდელი მონაცემებით მარცხდება, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაშიც სულაც არ არის გარანტირებული მისი რბილი დამოკიდებულება „ოცნების“ მიმართ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ტრამპის რადიკალურად ცუდ დამოკიდებულებას ჩინეთისა და ჩინეთის მეგობრებისადმი. დღეს „ქართული ოცნების“ ერთადერთი მოკავშირე სახლში დარჩენილი ამომრჩეველია, რადგან დიდი აქტივობის შემთხვევაში, მას არ აქვს საკმარისი ძალადობრივი რესურსი იმისთვის, რომ ხელისუფლება ხალხის ნების წინააღმდეგ შეინარჩუნოს.

შობადობისა და მიგრაციის ანტირეკორდი

■ გიორგი მსხალაია

შობადობის მაჩვენებელი ქვეყნის საერთო მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია - შობადობის კლება ქვეყანაში იწვევს ეკონომიკის შემცირებას, მცირდება ახალგაზრდა, ჯანმრთელი მოქალაქეების რაოდენობა და ფერხდება ქვეყნის განვითარება.

შობადობის შემცირება თვალშისაცემია მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, არსებობს რეგიონები, სადაც არა მხოლოდ ახალშობილების, მთელი მოსახლეობის რიცხვიც დრამატულად იკლებს. მაგალითად: 2015-დან 2023 წლამდე თითქმის 68 000-ით შემცირდა იმერეთში მცხოვრებთა რაოდენობა; ეს უფრო მეტია, ვიდრე მთელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

ბოლო 9 წელიწადში 9 ათასით არის შემცირებული გურიის მოსახლეობა. ეს უფრო მეტია, ვიდრე დაბა ლანჩხუთში მცხოვრები ადამიანების რიცხვი.

13 000-ზე მეტით არის შემცირებული 2015 წლის შემდეგ შიდა ქართლის მოსახლეობაც. დაახლოებით ამდენი ადამიანი ცხოვრობს ქალაქ კასპში.

32 500-ით ნაკლები ადამიანი ცხოვრობს სამეგრელო-ზემო სვანეთში - ეს სამჯერ მეტია, ვიდრე მთელი მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

საქართველოში შობადობის შემცირება იმ ნიშნულამდეა დასული, როცა ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. 2023 წელს ასეთი სურათი იყო თითქმის ყველა რეგიონში. გამონაკლისი მხოლოდ თბილისი, აჭარა და ქვემო ქართლია.

საქართველოს დემოგრაფიულ პორტრეტში მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკურ მდგომარეობას. 2023 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში სოციალურ შემწეობას იღებდა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი - უფრო ზუსტად, 676 641. ეს რიცხვი დღემდე, ამ პროგრამის მოქმედების პერიოდის განმავლობაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მიგრაცია

საქართველოდან ოჯახები ბავშვებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში ძირითადად ფინანსური და ჯანმრთელობის პრობლემების გამო მიდიან. გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, უფრო და უფრო ხშირად ისმის საქართველოდან წასვლის მიზეზად ცხოვრების დაბალი ხარისხი და პერსპექტივის არარსებობა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში 800 ათასზე მეტია გასული, 260 ათასით მეტი ადამიანი გავიდა ვიდრე შემოვიდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში (2021-2023) 157 ათასი ადამიანით მეტი წავიდა. ეს ფაქტი ადასტურებს (და უარყოფს „ოცნების“ ნარატივს), რომ ეს გასვლა არ არის დაკავშირებული უვიზო რეჟიმთან, რომელიც 2017 წლის მარტს გაიხსნა, ემიგრანტების რიცხვი კი განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა.

მხოლოდ 2022 წელს საქართველოდან 15-დან 64 წლამდე ასაკის ასი ათასზე მეტი ადამიანი წავიდა. ამ წელს 13 ათასი იყო ემიგრანტი ბავშვების რიცხვი.

სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, იმ ბავშვების რაოდენობა, ვინც სკოლებში სწავლის შეწყვეტის მიზეზად ქვეყნიდან წასვლას ასახელებს, მკვეთრად გაიზარდა 2021 წლის შემდეგ. ამ მონაცემების თანახმად, საქართველოდან ემიგრაციაში წასული სკოლის მოსწავლეების რაოდენობა ასეთია:

2023 წელს - 5604 ბავშვი
2022 წელი - 5508 ბავშვი
2021 წელი - 2698 ბავშვი
2020 წელი - 1358 ბავშვი

2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით კი საქართველო დატოვა და უკან აღარ დაბრუნებულა დაახლოებით იმდენივე ადამიანი, რაც მის ერთ რეგიონში - შიდა ქართლში ცხოვრობს, ანუ 244 966.

პანდემიის შემდეგ საქართველოდან იმაზე ორჯერ მეტი ადამიანი გადის სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად, ვიდრე უკან ბრუნდება ემიგრაციიდან. გამოსავალი ცვლილებაშია, დავასრულოთ 12 წლიანი „ოცნება“, რომელსაც ჩვენი ქვეყნისა და ოჯახებისთვის არაფერი გაუკეთებია, გარდა ტყუილი დაპირებების, ჩვენი ნდობისა და გულწრფელობის ბოროტად გამოყენებისა.

ჩვენს კოალიციას ცვლილებისთვის შესწევს პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, საქართველო უსწრაფესად შეიყვანოს ევროკავშირში, რაც ნიშნავს:

- **უსაფრთხო და მშვიდ განვითარებას - ევროკავშირის შექმნის დღიდან მის ტერიტორიაზე ომი არასდროს ყოფილა.**
- **ჩვენი ეროვნული, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვას.**
- **საშუალო შემოსავლის მინიმუმ სამჯერ გაზრდას - 3000 ევრომდე.**
- **განათლების სფეროში ხელფასის მინიმუმ შვიდჯერ გაზრდას.**
- **პენსიის მინიმუმ შვიდჯერ გაზრდას.**
- **მინიმუმ 2 პროცენტამდე შემცირდება საბანკო კრედიტი.**
- **მინიმუმ 4-ჯერ შემცირდება უმუშევრობის დონე.**
- **მინიმუმ 10 წლით გაიზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა.**

ამერიკა ისევ გახდება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ამოქმედდება „მეგობარი აქტი“, რომლითაც დაწესდება შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი, რაც ქართულ ბიზნესს საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების შტატებში გატანას გაუადვილებს. გარდა ამისა, კანონპროექტი, ამერიკულ ბაზარზე მოხვედრის გამარტივებასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის შემოღებასაც ითვალისწინებს.

პენსიების ქურდი მთავრობა

■ ანა გოგოლაძე

ჩვენს თანხებს განკარგავს ქართული ოცნების პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული საბჭო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საპენსიო დანაზოგები მაღალი ალბათობით გამოყენებული იქნება „ქართული ოცნების“ პარტიული და ბიზნეს ინტერესებისათვის. ჩვენს ფულს სამართავად მთლიანად იტოვებს „ქართული ოცნება“.

დაგროვებითი საპენსიო ფონდი, რომელიც შედარებით ახალია ჩვენი ქვეყნისათვის, წარმატებული და განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მრავალი წელია, ფუნქციონირებს. ამ ფონდის მიზანია, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მოქალაქეებს ჰქონდეთ ადეკვატური პენსია, რომელიც უზრუნველყოფს მათ ღირსეულ სიბერეს. ეს სისტემა გულისხმობს სქემაში მონაწილე პირის საპენსიო ანგარიშზე დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ ცხოვრების მანძილზე არსებული შენატანების დაგროვებას, რაც საპენსიო ასაკის მიღწევისას საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის.

ხუთი წლის წინ საქართველოს მთავრობამაც შემოიღო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლის მიზანიც მოსახლეობის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა იყო. პენსიაზე გასვლის შემდეგ, საბაზისო პენსიასთან ერთად (რომელიც დღეისათვის საშუალოდ 400 ლარია), მოქალაქეები ფონდში წლების განმავლობაში ნაგროვებ პენსიასაც მიიღებენ.

საქართველოში პენსიის დაგროვების სქემა მუშაობს შემდეგნაირად: დამსაქმებელი დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე რიცხავს მისი ხელფასის 2 პროცენტს, ამავე ოდენობის თანხა შეაქვს თავად დასაქმებულს (2 პროცენტი) და სახელმწიფოს (2 პროცენტი). შესაბამისად, ჯამში, ყოველთვიურად მოქალაქეს თავისი ხელფასის 6 პროცენტი ეზოგება საპენსიო ანგარიშზე. ამ თანხას შემდეგ საპენსიო სააგენტოში არსებული საინვესტიციო საბჭო სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში აბანდებს – მაგალითად, ბანკის დეპოზიტზე დებს, ყიდულობს რომელიმე ცნობილი კომპანიის (კოკა-კოლა, მერსედესი...) აქციებს ან ფასიან ქაღალდებს, რითიც თქვენს დანაზოგს ემატება დამატებითი სარგებელი. მაგალითად, თუ წლის განმავლობაში თქვენი დანაზოგი (6 პროცენტი) შეადგენს 1000 ლარს, საინვესტიციო საბჭო ამ თანხას, პირობითად, განათავსებს ბანკის ანგარიშზე ან იყიდის რომელიმე კომპანიის აქციებს და სარგებლის სახით დაგირიცხავთ დამატებით 100 ლარს. შესაბამისად, თქვენი დანაზოგი იქნება 1100 ლარი.

სააგენტოს მიერ დაზოგილი თანხების გონივრულად და მიუკერძოებლად ინვესტირების შემთხვევაში, საპენსიო ასაკისთვის, რომელიც საქართველოში ქალის შემთხვევაში 60 წელი, ხოლო მამაკაცის შემთხვევაში 65 წელია, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. ჩვენი საპენსიო დანაზოგების გონივრულად და უსაფრთხოდ ინვესტირება 5 წლის განმავლობაში მინდობილი ქონდა კონკურსის წესით შერჩეულ საინვესტიციო საბჭოს, რომელიც შედგებოდა უცხოელი, დიდი და სანდო გამოცდილების მქონე წევრებისაგან. ამ ეტაპზე დაგროვებით საპენსიო სქემაში დაახლოებით 1.5 მილიონი საქართველოს მოქალაქეა ჩართული და მათი დანაზოგები ჯამში 5 მლრდ ლარს აჭარბებს.

რა იცვლება და რას უნდა ველოდოთ

მიმდინარე წელს, „რუსული კანონის“, „ოფშორების კანონის“ და სხვა ანტიეროვნული კანონების ინიცირების შემდეგ, ქართულმა ოცნებამ ცვლილებები შეიტანა „დაგროვებითი პენსიების შესახებ“ კანონშიც, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ პენსიების ქურდი კანონი. ამ ცვლილებებს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო, რადგან მიიჩნია, რომ მისი არსით მავნებლური და კიდევ ერთი „რუსული კანონი“ იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ვეტო ამ შემთხვევაშიც დაძლია და მავნებლური ცვლილებები აამოქმედა.

სტატიაში ვეცდებით, აგიხსნათ, რა იცვლება მილიონ ნახევარზე მეტი საქართველოს მოქალაქისთვის, რომლებიც 5 წლის განმავლობაში აგროვებდნენ თანხას ღირსეული სიბერისთვის და რა ბედი ელის მათ მიერ დაროვილ 5 მილიარდ ლარზე მეტს.

კანონიდან უნდა გამოვყოთ სამი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ფონდში ნაგროვებ თქვენს თანხებს პირდაპირ უქვემდებარებს ქართული ოცნების პარტიულ მიზნებს და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების ღირსეულ სიბერეს.

ჩვენს დანაზოგებს, დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების ნაცვლად, განკარგავს პრემიერ-მინისტრის მიერ, ერთპიროვნულად დანიშნული მმართველობითი საბჭო.

აქამდე ჩვენი თანხების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა პარლამენტის, მათ შორის ოპოზიციური დეპუტატების, მიერ დანიშნული გუნდი. ცვლილებების შემდეგ ჩვენს თანხებს განკარგავს ქართული ოცნების პრემიერ-მინისტრის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული საბჭო. შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ საინვესტიციო საბჭო ჩვენი დანაზოგების დაბანდებისას დაექვემდებარება პრემიერის პარტიულ მითითებებს, ძალიან მაღალია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საპენსიო დანაზოგები მაღალი ალბათობით გამოყენებული იქნება „ქართული ოცნების“ პარტიული და ბიზნეს ინტერესებისათვის.

მოქალაქეებს საკუთარი დანაზოგების კერძო დაგროვებით ფონდებში გადატანის უფლება ჩამოერთვათ და ჩვენს ფულს სამართავად მთლიანად იტოვებს „ქართული ოცნება“.

დასასრული მე-5 გვერდზე ➢

პენსიების ქურდი მთავრობა

➢ *მე-4 გვერდიდან*

თუ მოქალაქისთვის საპენსიო დანაზოგების შენახვა სახელმწიფო ფონდში ნაკლებად სანდო იყო, კანონის მიხედვით, 2025 წლიდან გვეძლეოდა შესაძლებლობა, დანაზოგები გადაგვეტანა კერძო კომპანიებში. მაგალითად გიორგის, რომელსაც 20 ათასი ლარი აქვს მოგროვებული, მომავალი წლიდან საკუთარი თანხა შეეძლო წაეღო კერძო კომპანიაში, რომელსაც ძალიან ენდობა და უშუალოდ ყოფილიყო ჩართული მისი თანხის გონივრულ დაბანდებაში. ამგვარ პრაქტიკას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტონ, სად შეინახონ თანხა, იცნობს საერთაშორისო პრაქტიკაც. თანხა მიმაქვს იმ კომპანიაში, რომელსაც უფრო მეტად ვენდობი.

„ქართულმა ოცნებამ“ ახალი ცვლილებებით მოქალაქეებს წაართვა საკუთარი დანაზოგების განკარგვის შესაძლებლობა. კერძოდ, აუკრძალა თანხის გადატანა კერძო კომპანიებში და იძულების წესით ატოვებინებს სახელმწიფო საპენსიო ფონდში და ამ ეტაპისათვის 5 მილიარდიან ფონდს სრულად უქვემდებარებს პარტიულ გადაწყვეტილებებს.

„ქართულმა ოცნებამ“ საპენსიო ფონდის შესახებ კანონმდებლობა მოარგო საკუთარ ინტერესებს, რომლითაც მთავრობას თქვენი დანაზოგების განთავსება შეუძლია ბუნდოვან და სარისკო პროექტებში.

როგორც თავში აღვნიშნეთ, თქვენს დანაზოგებს საპენსიო ფონდი ათავსებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში (ბანკის დეპოზიტი, აქციები, ფასიანი ქაღალდები), რითიც თქვენს დანაზოგს ემატება დამატებითი სარგებელი.

ცვლილებების შემდეგ, კანონში გაჩნდა ბუნდოვანი ჩანაწერი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ საშუალებას აძლევს, ასობით მილიონი ლარი განათავსოს სარისკო და გაურკვეველ პროექტებში. მაგალითად, ნაცვლად მერსედესის აქციებისა, თქვენი თანხები ჩადოს ადგილობრივ, მაღალი რისკის მქონე შშენებლობაში, სადაც თქვენი დანაზოგების დაკარგვის ალბათობა მაღალია.

აღნიშნული ცვლილებით „ქართულ ოცნებას“ მიეცა შესაძლებლობა, ჩვენი კუთვნილი საპენსიო დანაზოგები გამოიყენოს პირადი, პოლიტიკური და ბიზნეს ინტერესებისათვის, სარისკო და კორუფციულ პროექტებში დაბანდების გზით.

დასკვნა

დაგეგმილ ცვლილებებს შეგვიძლია ვუწოდოთ პენსიების ქურდი კანონი, ვინაიდან ის საქართველოს 1.5 მილიონი მოქალაქის 5 წლის განმავლობაში ნაგროვებ 5 მილიარდი ლარის საპენსიო დანაზოგებს პირდაპირ უქვემდებარებს ქართული ოცნების პარტიულ ამოცანებს და აქცევს ბიძინა ივანიშვილის კონტროლის ქვეშ.

არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანია, გაუქმდეს კანონში განხორციელებული ეს ცვლილებები, მოქალაქეების კუთვნილი დანაზოგების მართვის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს პარტიული გავლენისგან თავისუფალმა პროფესიონალთა ჯგუფმა. ასევე, სისტემის მონაწილეებს უნდა მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, სურთ თუ არა დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა და ქონდეთ შესაძლებლობა, თავად გააკეთონ არჩევანი, ვის მიანდონ საპენსიო დანაზოგების მართვა.

დევნილთა პრობლემების მოგვარება და გადაწყვეტის გზები

■ **სოფია გოლეთიანი**
კოალიცია ცვლილებისთვის, დევნილთა ოფისის ხელმძღვანელი,პროფესორი, ბიზნესკონსულტანტი, ტრენერი, უბრალოდ სოხუმელი.

30 წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ. საქართველოს დღემდე ჰყავს დევნილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. წლების განმავლობაში, ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა მთავრობების მიერ, ხშირად არასწორი ხედვისა თუ პოლიტიკის მიზეზით ვერ განხორციელდა, მეტიც – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული დევნილებისთვის რთული აღმოჩნდა თავის დამკვიდრება, ფეხზე წამოდგომა და ცხოვრების თავიდან დაწყება.

დემოკრატიული სახელწიფოები, რომელთაც ქვეყანაში დევნილები ჰყავს, მათ საბოლოო დაბრუნებამდე ნაბიჯ-ნაბიჯ, წლებთან ერთად სწავლობენ და აგვარებენ იძულებით გადაადგილებული ადამიანების პრობლემებს.

დღემდე დევნილების მიმართ საქართველოს ხელისუფლებას ერთიანი და ორგანიზებული ხედვა არ ჰქონია. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საკითხი კი ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება.

აფხაზეთიდან დევნილ ოჯახთა ნახევარი დაუკმაყოფილებელია, 12 წლის მანძილზე ხელისუფლებას დევნილთა საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების სწრაფი მზაობა არასდროს ჰქონია. მოქმედებს კორუფციული სქემები, როცა ერთი და იგივე ოჯახის სხვადასხვა წევრი იღებს ბინას, მაშინ როცა ათასობით დევნილი ბავშვი ქირით ცხოვრობს და მშობლები გაჭირვებით ახერხებენ თავის შენახვას. ბინების გადაცემის თემა ოცნების ხელისუფლების პირობებში მხოლოდ წინასაარჩევნო პროგრამის ნაწილად რჩებოდა. ახლაც, არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე, ყველა სხვა დაპირებასთან ერთად, სწრაფი ტემპით რამდენიმე კორპრუსში ფასადის შეკეთება მიმდინარეობს იმ მიზნით, რომ ოქტომბრის თვეში, საზეიმოდ გადაცემული ბინებით, საზოგადოებაში კვლავაც გააჩინონ დევნილებზე ზრუნვის ფუჭი რწმენა.

ხელისუფლება ირწმუნება, რომ მომავალში ახალი საცხოვრებელი კიდევ 13 000 დევნილ ოჯახს გადაეცემა. ეს ციფრი წინა წლების პრაქტიკას 2,6-ჯერ აღემატება. და ყველაზე საინტერესო: დევნილთა განსახლების პროგრამისთვის წინა წლებში, საშუალოდ წლიურად 107 მლნ ლარი იყო გამოყოფილი, ამ წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით კი პროგრამისთვის ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ 93 მლნ ლარია გათვალისწინებული. ეს ციფრი 14 მილიონით ნაკლებია. სათქმელიც არაფერია, ფაქტი ჯიუტია და ის ცალსახად მეტყველებს ხელისუფლების მხრიდან მორიგ ცრუ დაპირებაზე, რომლის შესრულებაც აღნიშნული სახსრებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

კოალიციაში ცვლილებისთვის დევნილების საკითხებზე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები მუშაობენ, რომელთაც საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ყველა ის სოციალური პრობლემა, ჩვენს ქვეყანაში დევნილებს დღემდე რომ აწუხებთ.

არც ერთ სხვა პარტიასა თუ ხელისუფლებას თავის რიგებში არ ჰყოლია ამდენი დევნილი ერთად, როგორც კოალიციას ცვლილებისთვის. ამ ადამიანებს აქამდე არ ჰქონიათ პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება, თითოეული მათგანი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნის. ისინი წლების განმავლობაში სხვადასხვა ბიზნესისა თუ საგანმანათლებლო პლატფორმაზე მომუშავე პროფესიონალები არიან, რომელთაც სამშობლოს და განსაკუთრებით, საკუთარი კუთხის სიყვარული და მონატრება აერთიანებთ. ეს გრძნობა და ემოცია, რეალურ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად, აძლევთ უსაზღვრო მოტივაციას, იმუშაონ სიღრმისეულად ყველა ძირეულ საკითხზე, რაც დევნილების კეთილდღეობას და საბოლოოდ შინ დაბრუნების ხედვებს შექმნის.

ჩვენი გუნდის დევნილების პროგრამის სამოქმედო ნაბიჯები დაფუძნებულია ხედვაზე, რომ დევნილთა გადაადგილება დასრულდება არა მაშინ, როდესაც ყველა დევნილს სახლი და თავშესაფარი ექნება, არამედ მაშინ, როცა კერძო საკუთრებასთან ერთად, ისინი აღარ იცხოვრებენ გაჭირვებაში და მოხდება მათი მდგრადი რეინტეგრაცია ადგილებზე. როდესაც მათ ექნებათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები – განათლების, ჯანდაცვის და ცხოვრების მაღალი დონე.

კოალიციაში ცვლილებისთვის დევნილების საკითხებზე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები მუშაობენ, რომელთაც საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ყველა ის სოციალური პრობლემა, ჩვენს ქვეყანაში დევნილებს დღემდე რომ აწუხებთ.

პროგრამა მოიცავს 4 ძირითად საკითხს:

- საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა;
- დევნილთა სოციალური მხარდაჭერა;
- აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევითობა;
- დევნილთა გაძლიერების პროგრამები.

დევნილთა საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება მოხდება მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

აღნიშნული საქართველოს უცხოელი პარტნიორების მხრიდანაც მოლაპარაკების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. 2030 წლისთვის ევროკავშირში შესასვლელი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ წინაპირობას 2030 წლამდე საქართველოს დევნილთა საბოლოო დასახლება წარმოადგენს.

4-წლიანი პროგრამის თანახმად, წელიწადში 12 000 ოჯახს უნდა გადაეცეს ბინა, პროგრამა ითვალისწინებს: მენაშენეების პროექტს; სოფლად სახლს; კომპაქტურად დასახლებული ფართების დაკანონებას. დევნილთა ბინებით დაკმაყოფილება ეტაპობრივად მოხდება წინასწარ განსაზღვრული სიის თანახმად, სადაც უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველ, მარტოხელა, მრავალშვილიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ომისა და სამხედრო/თავდაცვის ვეტერანთა, ქირით მაცხოვრებელ ადამიანებს და საპენსიო ასაკით დაჯგუფებული ოჯახებს, რიგითობის მიხედვით.

აღნიშნული ევროკავშირის გრანტით განხორციელდება, რაც მიზნად ისახავს დეველოპერული კომპანიების ხელშეწყობისა და წახალისების პროგრამებს.

დევნილ ოჯახებს ბინები გადაეცემა საცხოვრებლად უკვე ვარგის მდგომარეობაში (რემონტით).

ჩვენ კარგად ვიცით, რომ დევნილთა ყოველთვიური ფულადი შემწეობის გაცემის საფუძველი იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსია.

დევნილის ყოველთვიური ფულადი შემწეობა, რომელიც 2024 წლამდე 45 ლარით განისაზღვრებოდა, გაიზრდება და გახდება 100 ლარი, რომელსაც მიიღებს ინდივიდუალურად საქართველოს ტერიტორიაზე და ე.წ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ფიზიკური პირი, რომელიც აღრიცხულია საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროს ერთიან ბაზაში.

დევნილთა ყოველთვიურ ფულად შემწეობას მიიღებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა დევნილი ფიზიკური პირი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატება 1 250 დარიცხულ ლარს.

დევნილის შემწეობის ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს მათ შორის ყველა დევნილი ფიზიკური პირი, ნებისმიერი სხვა ფულადი დახმარებისა თუ შემწეობის მიუხედავად. კოალიცია ცვლილებებისთვის მიაჩნია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შევსება არჩევნების გზით უნდა განხორციელდეს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს დევნილის სტატუსის მქონე ყველა სრულწლოვანი პირი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება, მისი კუთხის მმართველობითი ორგანოს დაკომპლექტებაში მიიღოს მონაწილეობა.

კოალიცია ცვლილებისთვის გუნდი დევნილთა გაძლიერების მიზნით განახორციელებს შემდეგ პროგრამებს: აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მეწარმეთა სოციალური გაძლიერება; საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლე მეწარმეთა სოციალური გაძლიერების პროგრამა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და განვითარების პროექტები; ქართული ენის, დამწერლობის დაცვა, მათ შორის აფხაზური ენის პოპულარიზაციის პროგრამები; ონლაინ განათლება აფხაზეთის ე.წ. ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველთა გაძლიერების კუთხით, რაც ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლას გულისხმობს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მოსახლეობის ჯანდაცვის სერვისების 100 პროცენტიანი დაფინანსება; სასწავლო პანსიონატების გახსნა ოკუპირებულ ხაზთან; ახალგაზრდებისთვის საზაფხულო ბანაკების მოწყობა; საერთაშორისო დონის პროგრამებში დევნილ პირთა ჩართვა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით; წლის განმავლობაში დევნილი მოსახლეობის 2-3 შეხვედრის ორგანიზება მსხვილ რეგიონულ ცენტრებში და მათო პრობლემები განხილვა.

კოალიცია ცვლილებების დევნილთა პრობლემებსა და პროგრამაზე მომუშავე გუნდს კარგად ესმის, რომ ქვეყანაში დევნილ მოსახლეთა გაძლიერება, მათი შემოსავლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ევროკავშირთან მოლაპარაკებების ახალ ეტაპზე გადასვლა კი უტყუარი დადასტურება იქნება იმისა, რომ, პირველად საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, დევნილებს ექნებათ რეალური ხელჩასაჭიდი შანსი შინ დაბრუნებისა.

რა სურს ახალგაზრდობას?

რუსული კანონის პროტესტიდან – არჩევნებამდე

■ **გიორგი ფაჩუაშვილი**

2023-2024 წლების საპროტესტო აქციები მრავალი საინტერესო მახასიათებლით გამოირჩეოდა: მზარდი ახალგაზრდული მუხტი, მეტი ინდივიდუალური ინიციატივა, აქტიური სტუდენტური პროტესტი და ახალი თაობის განსაცვიფრებელი ჩართულობა, რასაც საზოგადოების უმრავლესობა სასიამოვნოდ გაკვირვებული შეხვდა. ახალგაზრდები უკვე დღევანდელი დღის ლიდერებად ყალიბდებოდნენ და საორგანიზაციო საქმეებშიც იკავებდნენ წამყვან როლს. შესაბამისად, საინტერესოა, როგორ და რატომ განვითარდა ამგვარად მოვლენები და რა მოლოდინი აქვს ახალ თაობას სამომავლოდ. თავს უფლებას მივცემ, ვიმსჯელო ამ საკითხის შესახებ, როგორც სამოქალაქო ასპარეზზე აქტიური ახალგაზრდა და სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

სტუდენტური და ზოგადად ახალგაზრდული პროტესტი თუ ბრძოლა თავისუფლებისთვის არახალია ჩვენი ქვეყნისთვის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თერგდალეულთა დასი მაშინდელი სტუდენტობის მიერ შეიქმნა და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებლობას. შემდგომმა თაობამ უკვე განათლება მიიღო დასავლეთში და დააფუძნა პირველი რესპუბლიკა. 1921 წელს სტუდენტები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ახალგაზრდები იცავდნენ ქვეყანას საბჭოთა რუსეთის არმიისგან. 1956 წლის პროტესტიც გამოირჩეოდა ახალი თაობის მუხტით და ამ პერიოდიდან ეყრებოდა საფუძველი ეროვნულ მოძრაობას. 1978 წელს სტუდენტურმა ენერგიამ ააცილა ქვეყანას რუსული ენის ოფიციალური დაკანონება, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისა და იდენტობის იდეაზე თავდასხმას წარმოადგენდა. 9 აპრილს დაღუპულთა შორის იყვნენ სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც სიცოცხლის ფასად იბრძოლეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. მარტივად რომ ითქვას, ჩვენს ქვეყანაში ახალი თაობა სხვადასხვა სახით მუდამ იბრძოდა თავისუფლებისთვის. მისი მუხტი კი ცვლილებებთან იყო ასოცირებული. ჩვენი მსჯელობაც ზუსტად ამ ცვლილების ცნებაზეა დაფუძნებული.

დღეს დამოუკიდებლებიც ვართ, ძირითადად გვაქვს ბაზისურ საჭიროებებზე წვდომა, მეტი შესაძლებლობა მოგვეცა განათლების მიღებისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, შეიქმნა დემოკრატიული პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ხალხმა გადაწყვიტა ქვეყნის პოლიტიკური ბედი - ერთხელ ხავერდოვანი რევოლუციით (2003), მეორედ კი არჩევნების გზით (2012). შესაბამისად, ვირწმუნეთ, რომ გვაქვს პოტენციალი, მაგრამ უამრავი სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის გადაუჭრელი პრობლემა რჩება. ამასთანავე, გვერჩის გარეშე მტერი რუსეთის სახით. მას ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული. ამის ფონზე კი საქართველოს ხელისუფლება შეუსაბამო საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, ხოლო ქვეყნის შიგნით ზრდის ერთპიროვნული, ერთპარტიული მმართველობის ხარისხს, რომელიც უკვე საკმაოდ ემსგავსება რუსული ყაიდის სისტემას. გავრილოვის ჩამოყვანას, გარე მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭებას და ქვეყნის იზოლირებას რომ თავი დავანებოთ, რუსულ კანონზე უკეთ ვერაფერი ახსნის ამ დინამიკას. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ იყო მცდელობა ამ კანონის მიღებისა.

პირველ ჯერზე როცა შემოგვთავაზეს გასული წლის თებერვალში, ძალზე ამაღელვებელი იყო. ანალოგიური კანონი

ახალგაზრდებს გვსურს ევროპა, რომელიც ჩვენი ისტორიული არჩევანია და რომლის აღმოსავლეთის კარიბჭესაც წარმოვადგენდით საუკუნეების განმავლობაში. რუსეთისგან თავის შორს დაჭერა გვსურს. იგი არაა ჩვენთვის კეთილის მოსურნე და წაღებული ტერიტორიები უნდა დააბრუნოს. მისი ორსაუკუნოვანი გავლენები კი ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს. დაე, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

პუტინმა მიიღო 2012 წელს და დიდი წარმატებით გააჩუმა მთელი საზოგადოება. ქვეყნიდან გააქრო დასავლური დაფინანსება, რომელიც განათლებას თუ სხვა სოციალურ, კულტურულ ღონისძიებებს ხმარდებოდა და შექმნა მონოპოლია ძალაუფლებაზე. ქვეყნის ენერგია კი შეიარაღებას და ტანკების წარმოებას შეალია. იქაც „გამჭვირვალობა“ იყო საბაბი და აქაც, მიუხედავად იმისა, რომ საშემოსავლო სამსახურში ყველა ორგანიზაცია რეგისტრირებულია და ძალიან კარგად უწყის სახელმწიფო, ვის როგორი შემოსავალი აქვს. თუმცა, ავტორიტარებისთვის „მტრის ხატის“ შექმნაზე ეფექტური არაფერია, ამიტომაც ჩვენი პარტნიორების დახმარება უარყოფითად უნდა წარმოჩენილიყო ვიწრო პოლიტიკური მიზნების გულისთვის. ეს ჩვენს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების სურვილს ეწინააღმდეგებოდა, ესე იგი ქვეყნის ინტერესებისთვის ორ უმნიშვნელოვანეს რამეს გვართმევდა: ეკონომიკურ წინსვლასა და უსაფრთხოებას, - თუმცა, ქაოსური მდგომარეობისთვის შესაფერისი იყო. ერთპარტიული მმართველობის მოსურნეებს ძალზე უყვართ ასეთი დილემების შექმნა. 2+2 შეიძლება ოთხს უდრიდეს ან ხუთს, მაგრამ თუ საჭირო გახდება, ორივე პასუხს გამოაცხადებენ ჭეშმარიტად. პარტიას ხომ ასე სჭირდება?!

ზუსტად ამგვარმა ფარისევლობამ გამოგვიყვანა ახალგაზრდები გარეთ. იგი გვართმევდა მომავალს და ყველანაირ პერსპექტივას. მე და ჩემმა თანამებრძოლებმა მარტის იმ დღეებში მოძრაობა „სტუდენტები რუსული კანონის წინააღმდეგ“ დავაფუძნეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დერეფანში. გავიგეთ, რომ ჩვენი ლექტორი უძღვებოდა საერთო საკომიტეტო სხდომას რუსული კანონის შესახებ და აქტიურად უჭერდა მას მხარს. აუდიტორიაში კი ევროკავშირის სიკეთეების შესახებ გვესაუბრებოდა. დავინახეთ ფარისევლობა, შეგვაწუხა სინდისმა და თავმოყვარეობამ და გადავწყვიტეთ, წაგვეშალა მისი საგანი. დიდი საპროტესტო აქციების ორგანიზებაშიც ჩავერთეთ. ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ. შედეგად, წლის ბოლოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მივიღეთ. ის მოვიპოვეთ, რაც ხელისუფლებამ საკუთარი ქმედებების შედეგად დააკარგვინა საქართველოს ერთი წლით ადრე. თუმცა, ამ წელს რუსული კანონი კვლავ მოაბრუნეს მიუხედავად გამალებული დაპირებებისა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა.

ამ დროს უკვე გერმანიაში ვიყავი. არა იმიტომ, რომ ქვეყნის დატოვება გადავწყვიტე (საქართველოს კეთილი მომავლის კვლავინდებურად მწამს), არამედ იმ მიზნით, რომ განათლება მიმეღო ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში. იქიდან ვადევნებდი თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროტესტებს და ბევრსაც ვნერვიულობდი. ჩემი მეგობრები იქ იყვნენ, ხოლო მე - სხვაგან. მიუხედავად ამისა, სიამაყით და იმედით ვივსებოდი, როცა ვხედავდი ახალგაზრდებს, მათ შორის უამრავ სკოლის მოსწავლეს, რომლებიც ცენტრალურ ქუჩებს საკუთარი ინიციატივით იკავებდნენ და ხმამაღლა უცხადებდნენ თანამოქალაქეებს და საერთაშორისო საზოგადოებას, რომ თავისუფლები და დამოუკიდებლები იყვნენ, ამას კი არავის დაუთმობდნენ. ამის ფონზე უზარმაზარი ენერგია მომეცა და აწ უკვე გერმანიაში დავიწყე საპროტესტო მოძრაობა თანამებრძოლებთან ერთად. ბერლინში დავაფუძნეთ ორგანიზაცია „გზა“ (GZA – Georgisches Zentrum im Ausland), რომელიც თავისი სახის პირველი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია გახდა გერმანიაში. იგი სამოქალაქოდ აქტიურ ქართველებს აერთიანებს და საქართველოს წუხილს აცნობს ევროპის სხვა ქვეყნების მოქალაქეებს. ალბათ გემახსოვრებათ ბერლინის ხალხმრავალი ქართული მსვლელობები, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია და მეტი აღიარება მოუტანა ჩვენს ბრძოლას ევროპული მომავლისთვის.

წელს რუსული კანონი მაინც მიიღეს დიდი გაჭირვებით, მაგრამ დავინახეთ, რამხელა ძალას წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდობა და მთლიანი საზოგადოება „ძალა ერთობაშია“ პრინციპით. ჩვენი სიტყვა ვთქვით, თუმცა ახლა მისი გაოფიციალურებაა საჭირო, ამიტომაც არჩევნებისთვის ვემზადებით. თავისუფლებისთვის გამალებულმა ბრძოლამ გამოგვზარდა უკეთეს და უფრო მცოდნე პიროვნებებად. გამოვედით და დავიცავით ჩვენი თავმოყვარეობა, სინდისი და სურვილი, რომ გავხდეთ დიდი ევროპული ოჯახის წევრები სიამაყით და მომზადებულად. ამისთვის გვესაჭიროება დიდი ცვლილებები. ვხვდებით, რომ ამას ამჟამინდელი ხელისუფლება ვერ ან არ უზრუნველყოფს მრავალ მიზეზთა გამო, თუმცა, უფრო ფართო სურათით რომ ვიმსჯელოთ, ამდენი ხანი სათავეში მყოფი ძალა კარგავს სრულ ნებას, შექმნას რამე ახალი და ზედმეტად ეჩვევა ძალაუფლებას. ამიტომაც უნდა შეიცვალოს იგი. ჯანსაღ დემოკრატიად სხვაგვარად ვერ ჩამოვყალიბდებით. ევროკავშირის 9 რეკომენდაცია შესასრულებელია. კლუბის წევრობა თუ გსურს, მის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდე. სამწუხაროდ, ხელისუფლების მუდმივმა ლტოლვამ ერთპარტიული მმართველობისაკენ დააზიანა ეს სტანდარტები. თუ გვსურს, სერიოზულად აღგვიქვამდნენ დემოკრატიულ სამყაროში, საშინაო დავალება უნდა შევასრულოთ. ხელისუფლებლის დანაწილების პრინციპი დასაცავია. აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდნენ.

სასამართლოს დამოუკიდებლობა უზარმაზარი მონაპოვარი იქნება. იგი ჩამოაყალიბებს მსაჯულს, რომელიც კანონის ძალით დაგვიცავს ნებისმიერი ხელისუფალის ჩაგვრისგან. კოალიციური ხელისუფლება საუკეთესო ვარიანტია ამგვარი დანაწილების უზრუნველსაყოფად. აქ ძალაუფლება უფრო დაშლილი და საკამათოა, რაც ხელს უშლის ერთ ცენტრს, შემოიკრიბოს მთელი ძალა და სხვები ჩაგროს. რა თქმა უნდა, ეს არაა პანაცეა, მაგრამ საუკეთესო გამოსავალია არსებულ სიტუაციაში. არჩევნებზე კი ამგვარი კოალიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა გვექნება წელს, თანაც საკმაო არჩევანით პარტიებს შორის. ვფიქრობ, აქაც უნდა შეიქმნას ერთი დიდი გზაგასაყარი და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა ჩვენს ყოფაში. ახალგაზრდები კი ვმობილიზდებით ჩვენი არჩევანის დასაცავად. სიმართლეს და სამართლიანობას ალტერნატივა არ გააჩნია ასეთ ვითარებებში.

თუ მკითხავთ, რა სურთ ახალგაზრდებს, გიპასუხებთ, რომ ისეთი სისტემა გვსურს, როგორიც აღვწერე ზევით; გვსურს ევროპა, რომელიც ჩვენი ისტორიული არჩევანია და რომლის აღმოსავლეთის კარიბჭესაც წარმოვადგენდით საუკუნეების განმავლობაში. ასევე გეტყვით, რომ რუსეთისგან თავის შორს დაჭერა გვსურს. იგი არაა ჩვენთვის კეთილის მოსურნე და წაღებული ტერიტორიები უნდა დააბრუნოს. მისი ორსაუკუნოვანი გავლენები კი ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს. დაე, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. აი, ამის მერე ვივლით ამაყად და ვიტყვით, რომ ჩვენს წინამორბედთა ბრძოლას ფუჭად არ ჩაუვლია.

ქრონიკა

პოლიტიკური გაერთიანება „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, გირჩი, დროა"-მ საქართველოს მასშტაბით ოფისების გახსნა 9 აგვისტოს ქართლიდან დაიწყო.

9 აგვისტოს ოფისები კასპში, გორში, ქარელსა და ხაშურში გაიხსნა. ოფისის გახნის დროს გუნდის წევრებთან საუბარი შედგა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ისტორიულ მნიშვნელობაზე, ადგილობრივ პრობლემებზე, როგორებიცაა: ემიგრაცია, უმუშევრობა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიტაცებული ადგილობრივი რესურსები.

ასევე 9 აგვისტოს კოალიციის წევრები გაემგზავრნენ ემიგრანტებთან შესახვედრად იტალიაში, სადაც ანა გოგოლაძემ და ნოდარ ჩაჩანიძემ ხაზი გაუსვეს ემიგრანტების ჩართულობის მნიშვნელობას, რომ თითოეული მოქალაქე უნდა მივიდეს და ხმა მისცეს ოპოზიციას.

კოალიციისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან დაახლოება და მათი იდეების გაჟღერება, სწორედ ამ მიზნით ახალგაზრდული ბანაკი გაიხსნა იმერეთში და ეტაპობრივად ყველა რეგიონს მოიცავს. ბანაკის ტრენინგ კურსები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მოახლოებული არჩევნების როლი დემოკრატიულ პროცესებში, რუსული ჰიბრიდული ომი და პოლიტიკა.

10 აგვისტოს კოალიციის ლიდერები დაესწრნენ დემოკრატიის ფესტივალს, სადაც საუბარი შეეხო კოალიცის 4 ძირითად პრიორიტეტს, ესენია: პრეზიდენტის ქართული ქარტია, თანამედროვე განათლება, რეგიონების გაძლიერება და მაღალი შემოსავალი ოჯახებს.

11 აგვისტოს კოალიციის ოფისები გაიხსნა ხონში, ვანსა და სამტრედიაში, სადაც ადგილობრივ გუნდის წევრებთან საუბრის დროს გამოიკვეთა ადგილობრივი პრობლემები, პირველ რიგში, კორუფცია, რომელიც აღარიბებს ჩვენ ქვეყანას. 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების" კოალიციური მმართველობით ჩანაცვლების შემდეგ გატარდება ანტიკორუფციული ბიუროს რეფორმა, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, პრეზიდენტის ქართული ქარტიით.

12 აგვისტოს კოალიციის შეხვედრა ბარსელონაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან გაიმართა. 26 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში გასამარჯვებლად და შემდეგ საქართველოს ევროკავშირი გასაწევრიანებლად ქართული ემიგრაციის მაქსიმალური ჩართულობა გადამწყვეტი იქნება.

ასევე კოალიციის ოფისები გაიხსნა ცაგერში, ამბროლაურში, ონში, ტყიბულში, სამტრედიაში, ხარაგაულში, თერჯოლაში, ჭიათურასა და ბაღდათში.

ნიკა მელია აქტიურად ხვდებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, კერძოდ შეხვედრები გამართა ანკლიასა და სოფელ რუხში.

18 აგვისტოს კოალიციას ოფიციალურად შეუერთდა „რესპუბლიკური პარტია" და „აქტივისტები მომავლისთვის".

როგორც კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ განაცხადა, „ხალხს აქვს პოზიტიური ცვლილებების მოლოდინი და მზაობა და სწორედ ამ მიზანს ისახავს ეს ერთიანობა".

კიდევ ერთმა ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ ბრიფინგზე ხაზი გაუსვა, რომ ეს არის ერთობა, რომელიც შედგება მრავალფეროვანი და პრინციპული ადამიანებისგან.

კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკა გვარამიამ ბრიფინგზე ოქტაი ქაზუმოვი წარადგინა და აღნიშნა, რომ „სამოქალაქო პატრიოტიზმი არის ის, რაც ყველა ცივილიზებული ხალხის და ჩვენი თითოეული მოქალაქის არჩევანია".

20-21-22 აგვისტოს ოფისები გაიხსნა სამეგრელოს, გურიისა და აჭარის მასშტაბით.

✉ ფოსტა

გაზეთში დაიბეჭდება მკითხველების წერილები. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი პრობლემები, მოგვწეროთ თქვენი მოსაზრებები, წერილები, მიმართვები ამ ელექტრონულ მისამართზე:
info@ahaliparty.-com

მონოლოგი

ნიკა გვარამია: ჩვენ შეგვიძლია და ჩვენ შევძლებთ!

რატომ „კოალიაცია ცვლილებისთვის"?

მივყვეთ ჩვენს სახელს:

კოალიცია

ჩვენ 4 ლიდერის კოალიცია ვართ და ჩვენს უკან სამი გუნდი დგას: „ახალი", „გირჩი", „დროა". ჩვენ იმთავითვე გავაკეთეთ არჩევანი იმაზე, რომ საქართველოს დღეს გუნდური მართვა ჭირდება, და არა ერთ ადამიანზე აწყობილი – ეს ჩვენი ურყევი რწმენაცაა და ქართველი ხალხის აშკარა დაკვეთა. ლიდერებში არც ერთი ვართ უფროსი და უმცროსი, მთავარი და მეორეხარისხოვანი. ყველა გადაწყვეტილება მიიღება შეთანხმებით, რაც, ხშირად, შესაძლოა სრულად არ ემთხვეოდეს თითოეული ჩვენგანის პოზიციას, მაგრამ კოალიციაც სწორედ ესაა: შეჯერებული და გონივრულად დაბალანსებული გადაწყვეტილებები. ურთიერთკონტროლი დამზღვევი მექანიზმია, რომ ჩვენი გადაწყვეტილებებით ზიანი არ მივაყენოთ საქმეს, რისი ალბათობაც მაღალია, როცა გადაწყვეტილება ერთპიროვნული და პირადი წინასწარი განწყობით ნაკარნახევია.

კოალიციური მთავრობაც ზუსტად ესაა: სხვადასხვა პარტიების ურთიერთკოტროლით მიღებული შეჯერებული გადაწყვეტილებები. ჩვენი მაგალითით, გვინდა საზოგადოებას არჩევნებამდე დავანახოთ, რა არის კოალიცია, როგორ მუშაობს ის, რომ განსხვავებები აძლიერებს, და არა ასუსტებს და რომ ჩვენ – „ახალს", „გირჩს", „დროას" – ეს შეგვიძლია.

ცვლილება

ცვლილებაში, უპირველესად, მოქმედი რუსული სტილის ავტორიტარული რეჟიმის შეცვლას ვგულისხმობთ. ივანიშვილი უნდა წავიდეს:

- **ის 12 წელი მართავდა და, სხვა თუ არაფერი, 12 წელი საკმარისზე მეტია!**
- **ის წარუმატებლად მართავდა – ქართველები 12 წლის თავზე უკეთესად ნამდვილად არ ვცხოვრობთ, პირიქით: ქვეყანა იცლება და ემიგრაციაში გადახვეწილია უამრავი ქართველი; შობადობა უდაბლეს ნიშნულზეა, რაც ქართული ოჯახების სიღარიბის და მომავლისადმი შიშის ბრალია; ფასები და ინფლაცია ისეთი მაღალია, როგორც არასდროს; განათლების სისტემა ვერც ხარისხით დაიკვეხნის და ღარიბებისთვის საერთოდაც ხელმისაწვდომი არაა. ასეა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში**
- **ის ართმევს ჩვენს სამშობლოს და ჩვენს მომავალ თაობებს ისტორიულ შანსს, გავხდეთ ევროკავშირის წევრები და შეძლებულად ვიცხოვროთ უსაფრთხო გარემოში. არადა, ევროკავშირი ახლა ისე ახლოსაა, როგორც არასდროს. ივანიშვილი თუ დარჩა – საქართველო ევროკავშირისგან ისე შორს იქნება, როგორც არასდროს. ივანიშვილი გვართმევს ევროპას და მასთან ერთად ბედნიერების შანსს და გვაბრუნებს რუსეთში, ანუ განუვითარებლობაში, სიღარიბესა და დამამცირებელ ყოფაში.**
- **ის იპარავს ჩვენს ფულს და ამით მდიდრდება. ივანიშვილი არ იხდის არც ერთ თეთრს სახელმწიფოს ბიუჯეტში, სამაგიეროდ ის და მისი გუნდის წევრები თითქმის ყველა მსხვილი ბიზნესის წილში არიან, სახელმწიფო ტენდერები მათ მიღმა ვერ ჩაივლის, დასაქმებული ყავთ მთელი პარტიული ინფრასტრუქტურა და გავლენიანი მფარველის გარეშე სამსახურში მოხვედრა ახლა ისე რთულია, როგორც არასდროს. საქართველო ივანიშვილისთვის მეწველი ძროხაა, ჩვენთვის კი – სამშობლო.**

ამ და ბევრი სხვა მიზეზის გამო, ის უნდა წავიდეს. თუმცა, ეს გამარჯვებისთვის სავალდებულო წინაპირობაა, მაგრამ არასაკმარისი. ცვლილებები გვჭირდება ივანიშვილის წასვლის შემდეგაც და ჩვენ ვიცით, რა უნდა შეიცვალოს და როგორ უნდა შეიცვალოს. ჩვენ ვიცით, იმიტომ რომ გვაქვს ხედვა, გვაქვს კომპეტენცია, გვაქვს გამბედაობა და წესიერება. გვესმის, რა ჭირდება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ხალხს. ჩვენი მიზანია პროგრესი და განუხრელად წინ სიარული და არა დაშვებულ შეცდომებზე ლაპარაკი. ჩვენი არჩევანია მომავალი და არა წარსული!

ჩვენ შეგვიძლია და ჩვენ შევძლებთ!

ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: 27 ოქტომბერს იქნება დიდი ზეიმი

– ბოლო დღეებში რეგიონებში ბევრი ოფისი გახსენით. შეხვედრებზე რა კითხვები აქვს ხალხს? უპირველესად, რას ითხოვს?

– ცვლილებას. შემოვიარეთ იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო. კი, შეხვედრებზე პრობლემებზე გესაუბრებიან – ეს ზოგან ინფრასტრუქტურაა, ზოგან – სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ზოგან – ეს ყველაფერი ერთად. მაგრამ, საერთო ჯამში, მაგის მოსასმენად არ არიან მოსული, ამაზე ნაკლებად გველაპარაკებიან. უფრო აინტერესებთ, როგორ ვაპირებთ გამარჯვებას და ცვლილებას.

მთავარი კითხვაა, როგორ დავიცავთ ხმებს. ახლა მადუროს მაგალითიც არსებობს. ვენესუელაში თვლით არის დადასტურებული, რომ მადურომ გააყალბა, დახოცა, დაიჭირა ხალხი. შეხვედრებზე გვეკითხებიან, აქ თუ არსებობს მსგავსი საშიშროება. ამაზე უბრალო პასუხი მაქვს – საქართველო არ არის ვენესუელა. ის დიდი ქვეყანაა, ჩვენ – პატარა, არასდროს გამოსულა საქართველოში ეგეთი რაღაცები და არც არასდროს გამოვა. ახლაც კი, აქციები რომ იყო, ნებისმიერი დარბევის დროს აღმოჩნდა, რომ იქ იყო „ოცნების“ მაღალჩინოსნის, ან ბიზნესმენის შვილი, ან ძმისშვილი, ან ნათესავი და ა.შ. – არ გამოვა ეს ამ ქვეყანაში. შანსი არ არის.

გარდა ამისა, „ოცნებას“ აქვს კატასტროფული ვარდნა ამ რუსული კანონის შემდეგ. ჩვენ, პარტიებმა ჩავატარეთ ერთობლივი კვლევა, რომელიც ყველაზე სანდოა. შედეგებზე არც ერთ პარტიას არ ჰქონდა კითხვის ნიშანი, რადგან ყველა პარტიის მკვლევარი იყო ჩართული მეთოდოლოგიაში.

ამ კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ „ოცნება“ თბილისში 20 პროცენტზეა ჩამოსული, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი – 30-ზე. ეს არ ნიშნავს, რომ ამდენს აიღებენ, ამას კიდევ დაემატება გადაუწყვეტელი ხმების რაღაც ნაწილი, კიდევ – დაშინებით, შანტაჟით, მუქარით მოიმატებენ და ამ პროცენტს მაღლა აწევენ, მაგრამ ჩვენ ვართ ორჯერ მეტნი, ვიდრე ისინი. ამას ვუხსნით ხალხს შეხვედრებზე, რომ რაც შეიძლება ბევრნი უნდა მივიდნენ არჩევნებზე, თუ ვინმეს ყავს ოჯახის წევრი უცხოეთში, ყველას დაურეკონ და თხოვონ, დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე.

უცხოეთშიც აუცილებლად უნდა მივიდნენ არჩევნებზე. საზღვარგარეთ მცხოვრებთა განწყობები საქართველოში ჩატარებულ კვლევებში არ აისახება. ჩვენ ვიცით, რომ კრიტიკულად არის განწყობილი ემიგრაციის უდიდესი უმრავლესობა, ამას აჩვენებს წინა არჩევნების შედეგები – ⅔ კრიტიკულადაა განწყობილი და ⅓ “ოცნების” მხარდამჭერია. ემიგრაციის ხმები ძალიან გვჭირდება.

ჩვეულებრივი ფეოდალური სისტემაა ყველგან - რეგიონი ჩაბარებული აქვს ერთ ან ორ ადამიანს, რომელიც ადგილზე განკარგავს ყველაფერს.

ეგეთი შანსი, რომელიც ახლა მიეცა ამ ქვეყანას და ამ თაობას, არ ქონია არავის და არც რომელიმე სხვა თაობას. ამ შანსის გაშვება იქნება უდიდესი უპასუხისმგებლობა.

ემიგრანტებისთვის 90 უბნის გახსნას ვითხოვდით ხელისუფლებისგან და არ ხსნიან. მაგრამ ამ ხალხთან გვაქვს კომუნიკაცია, ვთხოვთ, რომ დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე. გვინდა ვცადოთ ამ 90 ქალაქში ტრანსპორტის ორგანიზება, თვითონაც ცდილობენ, ერთად ჩავიდნენ დედაქალაქებში, სადაც საელჩოები და საკონსულოებია და მისცენ ხმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია – 100 000 ემიგრანტი თუ მივიდა არჩევნებზე, ეს ძალიან დიდ უპირატესობას მოგვცემს. ყველა არჩევნებზე ეს პირველი ამოცანაა.

მეორე ამოცანაა – მიღებული ხმების დაცვა. ჩვენ ვუყვებით ხალხს, რას ვაპირებთ – უბნებზე გვეყოლება პარტიული წარმომადგენლები და დამკვირვებლები. ვმუშაობთ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სამოქალაქო სექტორთან. არსებობს არასამთავრობოთა კოალიცია, რომელიც ასევე დააკვირდება არჩევნებს. ხმების დასაცავად მათი რესურსიც იქნება გამოყენებული.

ამის შემდეგ აუცილებლად გვეკითხებიან – თუ მაინც დაწერეს მათთვის სასურველი შედეგები, მერე როგორ იქცევით? ვუხსნით, რომ ამის გაკეთება ისე, რომ არ იყოს ძალიან თვალსაჩინო, რთულია, რადგან იქნება ძალიან ბევრი დამკვირვებელი. ჩვენ უკვე ვიცით ახალ ელექტრონულ დათვლასთან დაკავშირებული პროცედურები. ასე რომ, ძალიან თავხედურად და უხეშად უნდა გააყალბონ და მიიღებენ კიდეც შესაბამის პასუხს. ეს პასუხი არ იქნება მაინცადამაინც ოპოზიციური პარტიისგან, ან ლიდერებისგან, ეს იქნება პასუხი ხალხისგან.

ერთგვარი ჰობი გავიჩინე – ყველა რეგიონში ვარკვევდი, ვინ იყო ადგილობრივი ფეოდალი, ბიძინას “ნამესტნიკი”, მისი წარმომადგენელი, რომელსაც რეგიონი აბარია. ჩვეულებრივი ფეოდალური სისტემაა ყველგან – რეგიონი ჩაბარებული აქვს ერთ ან ორ ადამიანს, რომელიც ადგილზე განკარგავს ყველაფერს. მაგალითად, ამბროლაურში ასეთი ადამიანი არის დეპუტატი ენუქიძე, რომელსაც იქ, ადგილზე ყავს რწმუნებულის მოადგილე ქრისტინე კობახიძე, რომლიც მისი სახელით განკარგავს ყველაფერს. ადგილზე თუ რამე თანხები იხარჯება, ყველა ტენდერს იგებს ამ ხალხთან დაკავშირებული კომპანიები, მათი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები. რაც ბიუჯეტიდან ერგება რეგიონს, ეს ფეოდალი განკარგავს. შესაბამისად, იქიდან აკეთებს ძალიან ბევრ ფულს.

ხალხს იქ იმასაც ვუხსნით, რომ კი, შეიძლება სადღაც წყალიც გააკეთოს, გზაც, ეკლესიაც ააშენოს, სადღაც ქველმოქმედებითაც დაკავდება, მაგრამ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ ეს ფული ამ ფეოდალს საკუთარი ჯიბიდან კი არ მოაქვს, არამედ ხალხის ფულია, მათია და არაფერი სამადლობელი არ აქვთ.

მეტიც – საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, დღემდე, ამ ქვეყანაში ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებაა და რამე რომ გამოიყენო – ტყე, ან წიაღისეული, ან ინერტული მასალები მოიპოვო – ამასაც ყელაფერს განკარგავს ბიძინას წარმომადგენელი პატარა ფეოდალი. ლიცენზიებსაც მხოლოდ „ნამესტნიკთან“ დაახლოებული კომპანია და ხალხი იღებს. როგორც ფეოდალური სისტემის დროს, აქაც ყველაფერი ბიძინას საკუთრებაა და მართვაში აქვთ გადაცემული რეგიონებში მის წარმომადგენელ ადგილობრივ ფოდალებს – ისინი განკარგავენ და ჭამენ, კორუფციული გზით შოულობენ ძალიან დიდ ფულს.

– როგორ უყურებს ხალხი ამ ფეოდალებს, შიში აქვთ?

– გარკვეულ ნაწილს – კი. და არამარტო შიში – ამბროლაურში წარმოუდგენელი რამ ვნახე, ენუქიძის მარჯვენა ხელს, ამ ქრისტინე კობახიძეს დითირამბებს უმღერიან, ლექსებს უძღვნიან, აქებენ და ადიდებენ. რეგიონებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ მეტწილად დაცლილია ახალგაზრდებისგან. წამოსული არიან თბილისში, ან ქვეყნის გარეთ არიან. ადგილზე ძალიან ცოტა მოსახლეობაა დარჩენილი. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი „ოცნებას“ მიბმული ყავს ფულით, ფორმალურად ყავს დასაქმებული. მაგალითად, ჭიათურაში ადგილობრივები იცინოდნენ, სასაფლაოზე 120 ადამიანია გაფორმებული, მაგდენი საფლავიც არ არის იქო. ბიბლიოთეკაში 5 წიგნია და 15 ბიბლიოთეკარია დასაქმებული, 300-300 ლარს აძლევენ, ამ ადამიანებს შემოსავლის დაკარგვა არ უნდათ, რადგან სხვა საქმე ადგილზე არ არის. გარდა ამისა, ფეოდალის ახლობლების კომპანებშიც არის დასაქმებული რაღაც ნაწილი.

მოსახლეობის ნაწილს საერთოდ არ უნდა იქიდან გაქცევა და არც ასაკი აქვს იმის, რომ გადასახლდეს სადმე. ეს ხალხი ძალიან გაბრაზებულია. ისინი 300 ლარად „დასაქმებულებზე“ გვეუბნებიან, რომ ვერ მოვლენ შეხვედრაზე, საჯაროდ ვერ გააკეთებენ კრიტიკულ განცხადებებს, მაგრამ იციან მათი აზრი და მათაც ცვლილება უნდათ.

– ცვლილების ჟინი იგრძნობა? როგორი ატმოსფეროა იმ რეგიონებში, სადაც პირადად იყავით?

– ამ წუთში ეს არ იგრძნობა. ასეთი ატმოსფერო თბილისში დიდი გამოსვლების დროს იყო. მაშინ, უამრავმა ადამიანმა, რომელსაც წლების განმავლობაში ხმა არ ამოუღია, უცებ დაიწყო ლაპარაკი და ხელისუფლების კრიტიკა. როდესაც თბილისში ეს მუხტი ჩაცხრა და გადავერთეთ ჯერ ევროპის ჩემპიონატზე, შემდეგ – ოლიმპიადაზე, მუხტი იქაც მინავლდა და ისევ რაღაც მოლოდინის რეჟიმში გადავიდა. თუმცა, ხალხი თავად ამბობს, რომ ბრაზი და მუხტი არსად წასულა და მაგის გაღვიძებას ისევ გამოსვლების ორგანიზება ჭირდებაო.

– მთავარი, რაზეც საუბრობთ შეხვედრებზე იმისთვის, რომ ხალხი არჩევნებზე მისვლის აუცილებლობაში დაარწმუნოთ?

– ჩვენ, კოალიციის ლიდერები, განსხვავებული ადამიანები ვართ და სხვადასხვა რამეზე ვსაუბრობთ ხალხთან, ყველას საკუთარი იდენტობა გვაქვს მაინც.

ჩემი სათქმელი, რატომაც ვარ პოლიტიკაში და ვარ ამ კოალიციაში, არის ის, რომ ეგეთი შანსი, რომელიც ახლა მიეცა ამ ქვეყანას და ამ თაობას, არ ქონია არავის და არც რომელიმე სხვა თაობას. თუ პოლიტიკოსს ეძახი საკუთარ თავს, ხარ პოლიტიკაში, გინდა რეალობის შეცვლა – ამ შანსის გაშვება იქნება უდიდესი უპასუხისმგებლობა.

ახლა გვაქვს შანსი, 5-6 წელიწადში ეს ქვეყანა სამშვიდობოს გავიყვანოთ – გავხდეთ ევროკავშირის წევრები, რაც მნიშვნელოვანწილად მოგვიგვარებს უსაფრთხოების პრობლემას, ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებს.

მყავს სამი შვილი, მათ შორის ერთი პატარაა, 7 წლის. მე არ მჯერა, რომ ცხოვრებაში კიდევ მომეცემა შანსი, იმაზე მეტი გავაკეთო ჩემი შვილებისთვის, რისი გაკეთებაც ახლა შემიძლია.

ორი რამ არის, რაც ჩემს შვილებს მინდა დავუტოვო – ქვეყანა, რომელსაც აღარ ექნება მუდმივი საფრთხე ჩრდილოეთიდან. 15 წელი ვიცხოვრე საბჭოთა კავშირში, მას შემდეგ ვცხოვრობ დამოუკიდებელ საქართველოში და ეს საფრთხე დამოკლეს მახვილივით კიდია ჩვენს თავს. არ მინდა, ჩემს შვილს დავუტოვო ქვეყანა, სადაც მუდმივი საფრთხის ქვეშ იცხოვრებს. ეს მშობლის ბუნებრივი ინსტიქტია. შეიძლება მოგვარებული ვერ დავუტოვო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მაგრამ უსაფრთხო ქვეყანა მინდა დავუტოვო. ამას ვეუბნები სიტყვა-სიტყვით შეხვედრაზე მოსულ ადამიანებსაც.

მეორე, რაც მინდა დავუტოვო ჩემ შვილებს, ესაა პასპორტი, არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პასპორტი, ევროკავშირის მოქალაქის პასპორტიც, რომელიც საუკეთესოა, სავარაუდოდ, აშშ-ს პასპორტის მერე. ეს იქნება პირველხარისხოვანი მოქალაქის პასპორტი, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ მოუნდება ევროპული განათლება – მიიღებს, დაჭირდება ევროპული ჯანდაცვა – ექნება. დედამიწის ნებისმიერ წერტილში იქნება პირველხარისხოვანი მოქალაქე.

უსაფრთხო ქვეყანა და მაგარი პასპორტი – რა უნდა გავაკეთო მაგაზე მნიშვნელოვანი ჩემი შვილებისთვის და მით უმეტეს, პოლიტიკაში რა უნდა გავაკეთო მაგაზე მნიშვნელოვანი, უბრალოდ, არ ვიცი. როცა ხალხს შეხვედრებზე ამაზე ვესაუბრები, დავაკვირდი, რომ ქალებს უფრო ესმით და რეაგირებენ ამაზე, ვიდრე კაცები. მგონია, რომ როცა შვილებზე ლაპარაკობ, ქალები სხვანაირად რეაგირებენ, სხვანაირად გისმენენ და სხვანაირად ესმით – ეს სულ ჩანდა მათ თვალებში. მგონია, რომ ეს დედის ინსტიქტია. ზუსტად იციან, რა არის მათი შვილებისთვის კარგი. დეზინფორმაციული კამპანიის, რომ ევროპა ცუდია, ისეთია და ასეთია – ამ ხალხს არ სჯერა.

27 ოქტომბერს მგონია, რომ იქნება დიდი ზეიმი. 27-ში მოვიგებთ. მგონია, რომ იმდენად დიდი უპირატესობა იქნება აქეთ მხარეს, რომ ვერ გაბედავენ თავის შედეგების დაწერას. რიცხვებში ჩანს, რომ ვერ გაბედავენ.

ელენე ხოშტარია: ხალხის მთავარი მოთხოვნაა - შეცვალეთ!

– ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ცვლილების წყურვილი, ის მასშტაბი, რასაც ხალხთან შეხვედრებზე ვხედავდით და ვგრძნობდით. ყველას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ქონდეს, მაგრამ ჩამოყალიბებულია აზრი, რომ არსებული სიტუაცია უნდა შეიცვალოს – ეს არის ხალხის განწყობა. ამის შემდეგ, მგონია, რომ ყველა უკვირდება, რა ტიპის ცვლილება იქნება. იციან, რომ აღარც „ოცნება“ უნდათ და აღარც ეს მდგომარეობა. როგორი იქნება ეს ცვლილება, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული – რას და როგორ მომავალს შევთავაზებთ ამ ხალხს კონკრეტულად. მგონია, რომ ახლა პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩევანის გაკეთების პროცესს ვუყურებთ.

– რა ტიპის შეთავაზებებს ელის ხალხი თქვენგან, როგორია დაკვეთა?

– გვთხოვენ, ისე დალაგდით, რომ გამარჯვება გარანტირებული იყოსო. დღეს ისე გამოიყურებიან ოპოზიციური პარტიები, რომ ხმების დაკარგვის შესაძლებლობა მინიმალურია. ძირითადი გაერთიანებები შემდგარია. სამი დიდი ცენტრია და ამ ცენტრებს აქვთ უნარი, გადალახონ საარჩევნო ბარიერი, მოიგონ და მერე შეკრან კოალიცია. ეს საკმაოდ დამაჯერებლად ჯღერს ამომრჩევლისთვის, ოღონდ, დარჩენილი ორი თვის განმავლობაში უნდა დაინახონ, რომ ეს მართლა ასეა. თუ ოპოზიცია დაკავდება ერთმანეთთან ჩხუბით, საქმეების გარჩევით, ეს, რა თქმა უნდა, დააბნევს ამომრჩეველს. ცხადია, შეიძლება ერთმანეთს შევეჯიბროთ სამივე ცენტრი და ხალხს საკუთარი უპირატესობები ვაჩვენოთ.

– საარჩევნო პროგრამებს ითხოვს ხალხი?

– არა. საუბარია ჩვენს უნარებზე, შევძლოთ კოალიციის შეკვრა და მართვა – ეს არის ის მთავარი, რასაც კოალიციას თხოვენ – შეცვლის უნარი. რა თქმა უნდა, გვეკითხებიან, როგორ მოვახერხებთ ამას მომავალში, მაგრამ მთავარი მოთხოვნაა – შეცვალეთ!

– კონკრეტულად რას ეუბნებით მათ, ვისაც ჯერ არ გადაუწყვეტია ოპოზიციის შემოხაზვა?

– ყველას და ყოველთვის ვეუბნებით, რომ მთავარია, „ოცნებას“ ვუთხრათ უარი. ეს არის პირველი ხარისხის ამოცანა. „ოცნების“ არჩევა ახლა უკვე არა პოლიტიკური, ან პარტიული საკითხი, არამედ ისტორიული არჩევანია – იქნება თუ არა ქვეყანა, დღეს ასე დგას საკითხი და ეს არის პირველი სათქმელი.

ეს არჩევნები სპეციფიურია – რადგან, რუსეთი და დასავლეთის პერსპექტივა დგას სასწორზე. ამიტომ პირველ რიგში, „ოცნების“ გადარჩევა სურთ და არ აქვთ იმის კომფორტი, შესაბამისი გარემო, კარგად ჩამოყალიბდნენ, მართლა ვინ მოწონთ. გარკვეულწილად, „იძულებულები“ არიან, ოპოზიციას მისცენ ხმა. სწორედ ასეთ სპეციფიურ სიტუაციას არის ზუსტად მორგებული ქართული ქარტია. ქარტიის მიხედვით, ჩვენ მოვდივართ შეზღუდული მანდატით. კონკრეტულად მოვაწერეთ ხელი იმას, რომ მოვდივართ სამი პუნქტისთვის:

პირველი – სასწრაფოდ დავიწყოთ დასავლეთთან მოლაპარაკება, დასავლეთი გველოდება. ამისთვის უნდა შევასრულოთ ის 9 დათქმა, რომელიც სწრაფად შესრულებადია.

მეორე – ჩავატაროთ სამართლიანი არჩევნები, რომ ხალხმა უკვე კომფორტული არჩევანი გააკეთოს. ამისთვისაც რამდენიმე რეფორმაა გასაკეთებელი და ეს რთული არ არის.

მესამე – გავაუქმოთ ის კანონები, რეგულაციები, დევნა და ა.შ. რაც რუსული კანონის მიღებას მოჰყვა. ქარტიაში წერია, რომ ერთი წლის განმავლობაში ეს რეფორმები უნდა დავასრულოთ და დავნიშნოთ არჩევნები. ჩვენი რეალისტური შეხედულებით, სრულიად შესაძლებელია, რომ ორ წელიწადში არჩევნები ჩატარდეს. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად მოვრჩეთ რეფორმებს და დავნიშნოთ არჩევნები. აბსოლუტურად მყარად ვდგავართ, რაზეც მოვაწერეთ ხელი და ეს უნდა დამკვიდრდეს ქართულ პოლიტიკურ კულტურაში – ნათქვამ სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს.

ამ ქვეყნის ტრაექტორიას განსაზღვრავს ხალხი და არა ბიძინა ივანიშვილი.

ახლა ჩვენ, ერთგვარად, გამოცდებს ვაბარებთ – ერთი გამოცდა 8 ივლისის დედლაინი იყო, როდესაც ვთქვით, რომ კოალიციებს შევქმნიდით და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოცდა ჩავაბარეთ. ახლა კიდევ ერთი გამოცდა ქარტიაა და ამასაც აუცილებლად ჩავაბარებთ, ბოლომდე დავრჩებით ქარტიის ერთგულები. ქარტია არის ის, რაც დღეს ჭირდება ამომრჩეველს, მათ ჭირდებათ გარანტია, რომ სადმე წარსულში კი არ ვარდებიან, არამედ მომავლის გზას ხედავენ – როდის ვიწყებთ ევროკავშირთან მოლაპარაკებას, როგორ ვამზადებთ და ვატარებთ მათთვის კომფორტულ არჩევნებს. ჩემი და ჩვენი კოალიციის მთავარი საყრდენი სწორედ ესაა. ამასთანავე, ვილაპარაკებთ ქვეყნის განვითარების გეგმაზე უახლოესი 10 წლის განმავლობაში, იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი ქვეყანა ამ უკიდურესად ცვალებად საერთაშორისო ვითარებაში, სადაც მათ შორის, ჩვენი უსაფრთხოებისა და მომავლის საკითხი წყდება. საზოგადოებას უნდა ვაჩვენოთ, როგორი იქნება უსაფრთხოების სისტემა ამ რეგიონში, უკრაინასთან როგორი ურთიერთობა იქნება, დამარცხებული რუსეთის მერე რა იქნება, შავ ზღვას რაში ვიყენებთ და ა.შ.

– რეგიონებში რამდენად ჩანს სურვილი ხალხისგან, თავად ჩაერთოს აქტიურად არჩევნებში?

– ხალხში ჩამოყალიბებულია სურვილი და წყურვილი, განსაკუთრებით ახალგაზრდებში და არამარტო, რომ თავად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ხმების დაცვაში. ამისთვის საჭიროა ცოდნა, რომელიც ჩვენ ყველას, პროდასავლური ფრონტიდან, გვაქვს – ვგულისხმობ აქტივისტებს, სამოქალაქო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს. ტექნიკურ ცოდნასთან ერთად ვიცით, რა ტიპის კოორდინაცია გვჭირდება და ეს კოორდინაცია არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აქტივისტებთან.

გარდა ამისა, კარგადაა შესწავლილი, რა ტიპის მაქინაციებს აწყობს „ოცნება“ საარჩევნოდ სიებთან დაკავშირებით, სწორედ ახლა მიდის ეს პროცესი. ამას ვსწავლობთ დეტალურად, მათ შორის, პარტნიორებთან ერთად.

აუცილებლად და ძალიან მალე დაიწყება პოტენციურ გამყალბებლებზე ზეწოლა. მაგალითად, აგვისტოს ბოლოს ცესკო დანიშნავს საოლქოს თავმჯდომარეებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ ოლქში არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს. ამ ადამიანების შესახებ დეტალურად იქნება ცნობილი ყველაფერი და ამაში მონაწილეობას მიიღებენ სოფლების, რაიონების მოსახლეობა.

არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნებას“ „გაეპაროს“ პასუხისმგებლიანი და ოდნავ კეთილსინდისიერი ადამიანები ამ თანამდებობაზე – ვინც არ მოაწერს ხელს, მათ შორის, საკუთარ განაჩენს და არ დაკავდება გაყალბებით. ასეთ ადამიანებს ჩვენ არაფერს ვერჩით. მაგრამ ყველას, ვინც გაყალბებას გადაწყვეტს, აუცილებლად ამოვიღებთ მიზანში, ეს ეცოდინებათ პარტნიორებს. მათ კი გამზადებული აქვთ სანქციების პაკეტი და ეს „მეგობარი“ აქტის ნაწილიცაა – ერთ-ერთი პუნქტი, რის გამოც დასანქცირდებიან ადამიანები, არჩევნების გაყალბებაა. შესაბამისად, ინფორმაციული ჯაჭვი – სოფელში გამყალბებლიდან – ვაშინგტონამდე, ჩვენი ასაწყობია. პოტენციურმა გამყალბებლებმა ეს წინასწარ უნდა იცოდნენ და გადაწყვიტონ, უღირთ თუ არა ქვეყნის და საკუთარი თავის დაღუპვა იმისთვის, რომ კონკრეტულ მომენტში მოემსახურონ რუს ოლიგარქს.

ზოგადად კი, ყველა სცენარი, ყველა ჩვენი ნაბიჯი არის გათვლილი იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფრის მკადრებელია. არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული იმაზე, თუ რას ჩაიფიქრებს „ოცნება“. დამოკიდებული უნდა ვიყოთ, როგორ დავიგეგმებით და როგორ მობილიზებას შევძლებთ, როგორ გვეცოდინება მათი ხრიკები, როგორ გავაგებინოთ ჩვენს პარტნიორებს, როგორ ვიყოთ ბევრნი.

ქარტიის მიხედვით, ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად მოვრჩეთ რეფორმებს და დავნიშნოთ არჩევნები. აბსოლუტურად მყარად ვდგავართ, რაზეც მოვაწერეთ ხელი და ეს უნდა დამკვიდრდეს ქართულ პოლიტიკურ კულტურაში - ნათქვამ სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს.

არსებითია, რომ მათ არ ეყოფათ მცირე მანიპულაცია. გაყალბების მასშტაბი, რომელიც მათ დაჭირდებათ, ბევრად დიდია, ვიდრე აქამდე გვინახავს. 2020-ში ზღვარზე იყო. ყველამ იცის, რომ მაშინ გაყალბდა, მაგრამ გარკვეული წერტილი დაიჭირეს. ახლა განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათ არ ეყოფათ პატარა მანიპულაცია. ეს განაპირობა რუსულმა კანონმა – ჩამოეშალათ პროდასავლური ამომრჩეველი, ვისაც ჯერ კიდევ ქონდა ილუზია და პროპაგანდით იტყუებდა თავს, რომ „ოცნებას“ ქვეყანა დასავლური ცივილიზაციისკენ მიყავს. ამ დიდი დანაკარგის შევსება მათ პატარა მანიპულაციით არ გამოუვათ. ძალიან ხილული უნდა იყოს, რასაც გააკეთებენ და აქ მათ გამოვიჭერთ. რაც მეტი ადამიანი მოდის არჩევნებზე, მით უფრო მეტის გაყალბება უწევთ.

ეს ფაქტია. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩააცვეს სპორტსმენებს ფორმა – წინა ხაზზე იყვნენ მოძალადეები, უკან – პოლიცია, რომელიც ცდილობდა, არ მომხდარიყო რამე უბედურება. ჩემი თვალით მაქვს ნანახი ეს.

საერთოდ არ მიგვაჩნია, რომ მთელი პოლიცია არის რუსი და რუსების მსახური. მესმის, რომ ვიღაცას უწევს იქ მუშაობა, ვიღაც ასე პირდაპირ ვერ ტოვებს სამსახურს, მძიმე ვითარებაა, სიღარიბეა ქვეყანაში. მაგრამ მათ აქვთ მოქმედების არჩევანი ოქტომბერში. დარწმუნებული ვარ, პოლიციის უმრავლესობა საქართველოში რუსეთზე ხელს არ მოაწერს, ეს შეუძლებელია. რაც არ უნდა მოიფიქრონ შუშის სასახლეში, ჩვენ ვანახეთ მარტის აქციებზე, რომ ამ ქვეყნის ტრაექტორიას განსაზღვრავს ხალხი და არა ბიძინა ივანიშვილი.

ქარტიის მიხედვით, ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად მოვრჩეთ რეფორმებს და დავნიშნოთ არჩევნები. აბსოლუტურად მყარად ვდგავართ, რაზეც მოვაწერეთ ხელი და ეს უნდა დამკვიდრდეს ქართულ პოლიტიკურ კულტურაში - ნათქვამ სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს.

ნიკა მელია: ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან, ძალიან დიდ უმცირესობაში

– თქვენ ახლა წინასაარჩევნოდ ხვდებით ძალიან ბევრ ხალხს. სულ დადიხართ, თუმცა წინა არჩევნებზეც ასე იყო. რა სხვაობაა წლევანდელ ამომრჩეველსა და, ვთქვათ, 2020-ის ამომრჩეველს შორის?

– დიახ, მართალია. ჩვენ უკვე დიდი ხანია, რამდენიმე თვეა, დავიწყეთ შეხვედრები რეგიონებში, ჩვენი თანამემამულეების მოსმენა, მათი პრობლემების გაგება, ამ პრობლემებზე მუშაობა და ასევე, რასაკვირველია, აქტიურად ვეძებთ თანამებრძოლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც იქნებიან ადგილებზე ბრძოლის ავანგარდში. რაც შეეხება განსხვავებებს, ეს განსხვავებები დიდია. ყველამ კარგად იცის, რომ წლებია ვებრძვით ივანიშვილის რეჟიმს და რომ ამ წლებში იყო განსხვავებული ფაზები. მათ შორის, ფაზები, როდესაც საზოგადოების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იცნობდა ივანიშვილის ნამდვილ სახეს და ფაზები, რომელთა დროსაც ჩვენი პარტნიორებიც ევროპასა და ამერიკაში არ იცნობდნენ მის ნამდვილ სახესა და ზრახვებს. დღეს ეს მდგომარეობა რადიკალურად არის შეცვლილი, ყველა სოფელსა თუ დაბაში, ყველა დიდ ქალაქში და თბილისის ყველა უბანში მინიმუმ ორჯერ მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ცვლილება სურთ, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების რაოდენობა. ვიცით, რომ ხელისუფლებას ჰყავს უამრავი ადამიანი ამა თუ იმ ფორმით დასაქმებული და მაქსიმალურად ეცდება მთელი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს, მაგრამ მთლიანად ამ რესურსის მასშტაბიც კი ვერ გაუტოლდება ამ ქვეყანაში იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც აღარ სურთ ბიძინა ივინაშვილის მმართველობის ქვეშ ცხოვრება, აღარ სურთ სიღარიბეში დარჩენა, აღარ სურთ ევროკავშირის გარეთ ცხოვრება და აღარ სურთ საკუთარი ბედის სხვა ადამიანის და მისი კრიმინალური გარემოცვის ხელში დატოვება. ბოლო დროს, განსაკუთრებით რუსული კანონის მიღების შემდეგ და ამ მთავრობის პირობებში ევროკავშირში გაწევრიანების შანსის საბოლოოდ დაკარგვის შემდეგ, მაქვს ინფორმაციები, რომ საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების დიდი ნაწილიც სწორედ ასე და ძალიან ჯანსაღად უყურებს ახლანდელ ვითარებას, მართლაც მთელი გულით ვგრძნობ, რომ ხელისუფლება მათ მხარდაჭერასაც ჰკარგავს.

უკვე ყველამ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, დაინახა ბიძინა ივანიშვილის ნამდვილი სახე და ეს არის ძირითადი სხვაობა ამ არჩევნებსა და წინა არჩევნებს შორის.

ქართველმა ხალხმა გაზაფხულზე აჩვენა წინააღმდეგობის, სიმტკიცისა და სიმამაცის მაგალითი. ჩვენმა მოქალაქეებმა ძალიან კარგად იციან, თუ რა არის სწორი ისტორიული გზა ჩვენი ერისთვის და ძალიან კარგად იციან, თუ რა დევს სასწორზე.

რაც შეეხება ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს, ისინი არიან ქართველი ხალხის მეგობრები, მათი ერთგულები და, რა თქმა უნდა, ისინი რჩებიან ქართველი ხალხის მოკავშირეებად. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენს მოქალაქეებს სურთ ევროინტეგრაცია, ევროკაშირში გაწევრიანება და ამიტომ, როგორც კი დაინახეს, რომ მთავრობამ უღალატა ქართველი ხალხის არჩევანს და გადაუხვია ევროპულ გზას, ისინი მაშინვე გახდნენ ბევრად უფრო ხისტები „ქართული ოცნების“ მიმართ და ამავდროულად ბევრად უფრო მეტი მხარდაჭერა აგრძნობინეს ქართველ ხალხს. ამერიკის შეერთებული შტატები ხელისუფლების ცვლილების პირობით ღიად დაგვპირდა ვიზალიბერალიზაციასა და თავისუფალ ვაჭრობას, ევროკავშირი ღიად გვპირდება გაწევრიანების მოლაპარაკებების დაყწებას უკვე 27 ოქტომბრიდან, თუკი ჩვენ მოვახერხებთ და გავუშვებთ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას სახლში. ეს არის ამ ქვეყნის რეალური წარმატების, ჩვენი ოჯახების რეალურად გამდიდრების გზა და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ გზიდან არ გადავუხვევთ. ამავდრულად, აშშ-მ უკვე აამოქმედა სანქციები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და ეს სანქციები შემოდგომაზე კიდევ უფრო გაფართოვდება და მიიღებს სახაზინო, საფინანსო სახესაც, რაც იქნება უმძიმესი გადასატანი ამ ხელისუფლებისთვის, რომლის წევრებისთვისაც ყველაზე მთავარი ყოველთვის ფულია. ეს ყველაფერი კომბინაციაში გვიჩვენებს, რომ ამერიკასა და ევროპაში ამ ხელისუფლებას უკვე გამოუტანეს განაჩენი და რომ ეს განაჩენი 26 ოქტომბერს სისრულეში ქართველმა ხალხმა უნდა მოიყვანოს.

– რამდენად მზადაა პროდასავლური, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი, გაუძლოს მოსალოდნელ ზეწოლას, დაშინებას, პროპაგანდას? მით უფრო, რომ ეს განსაკუთრებით, რეგიონებშია მოსალოდნელი.

– ქართველმა ხალხმა გაზაფხულზე აჩვენა წინააღმდეგობის, სიმტკიცისა და სიმამაცის მაგალითი. ჩვენმა მოქალაქეებმა ძალიან კარგად იციან, თუ რა არის სწორი ისტორიული გზა ჩვენი ერისთვის და ძალიან კარგად იციან, თუ რა დევს სასწორზე. თუ რამის უნდა გვეშინოდეს, უნდა გვეშინოდეს ჩვენი შვილებისთვის ევროპული მომავლის შანსის დაკარგვის, თუ რამე უნდა გვაღელვებდეს, სწორედ მათი შესაძლებლობები და მათი პერსპექტივაა და მე ვიცი, რომ ეს ძალიან კარგად ესმის თითოეულ ქართველს. რა შეგვიძლია ჩვენ მეტი გავუკეთოთ ჩვენს შვილებს, თუ არა ის, რომ ოთხ წელიწადში ჯიბეში ჩავუდოთ ევროკავშირის პასპორტი და დავუტოვოთ მშვიდი, განვითარებული და უსაფრთხო გარემო. ჩვენს ისტორიაში არასდროს შეგვშლია არჩევანი მომავალსა და წარსულს შორის, ამიტომ მჯერა, რომ ქართველი ხალხი არც ამჯერად გატყდება და დააფიქსირებს თავის ღია, მტკიცე და გაუტეხელ არჩევანს. პროპაგანდის, ზეწოლისა დაშინების წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდება ასევე ჩვენი სიმრავლე და სწორედ ამაზე ვმუშაობთ ახლა, რათა უამრავმა ადამიანმა დააფიქსიროს ხმამაღლა ცვლილების სურვილი და საზოგადოებამ არჩევნებამდეც ირწმუნოს გამარჯვების.

– რას აკეთებთ ამისთვის რეგიონებში?

– ჩვენმა კოალიციამ, რომელიც 4 ნომრით იასპარეზებს ამ არჩევნებზე, უკვე გავხსენით ათობით ოფისი საქართველოს მასშტაბით და ვაპირებთ დაახლოებით 100 ოფისის გახსნას საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში. ეს არის უპრეცედენტო რამ, ჩვენ მოვიცავთ ყველა დაბას, ყველა სოფელსა და ქალაქს, აღვრიცხავთ ყველა პრობლემას, შევადგენთ ყველა საკითხის გაუმჯობესების გეგმას და დავამარცხებთ ივანიშვილს ყველა დასახლებაში, ლენტეხიდან დედოფლისწყარომდე, ალვანიდან ხელვაჩაურამდე და ყაზბეგიდან ნინოწმინდამდე. ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა საარჩევნო უბანზე ჩვენ გვყავს პროფესიონალთა გუნდი, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას და არ დაუშვებს არც მათზე ძალადობას, არც დაშინებისა და მოსყიდვის მცდელობებს.

ჩვენ ყველგან აქტიურად ვმუშაობთ, უკვე მოვიარეთ თითქმის ყველა კუთხე და შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან, ძალიან დიდ უმცირესობაში ყველგან, მთელს საქართველოში, სოფელსა თუ ქალაქში. იგრძნობა განსაკუთრებული განწყობა, განსაკუთრებული ენთუზიაზმი, ყველანი ვგრძნობთ, რომ რეჟიმი მარცხდება და ხალხი იმარჯვებს.

– რეჟიმის ცვლილების გარდა კონკრეტულად რას ითხოვს ამომრჩეველი?

– ამომრჩეველი ითხოვს ეფექტურ მმართველობას. ხალხს ჭირდება სიმშვიდე და უსაფრთხოება, რომლის გარანტია ევროკავშირია. ხალხს ჭირდება კოალიციური მმართველობა, რომელიც არც ერთ ადამიანს არ მისცემს მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობას. ხალხს სჭირდება ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და გამდიდრება, შესაძლებლობების ეკონომიკა და ევროპული დონის ცხოვრების პირობები. ჩვენს შვილებს სჭირდებათ მაღალი ხარისხის განათლება, რომელიც მათი წარმატების და ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარი იქნება და ჩვენს რეგიონებს ჭირდებათ გაძლიერება და მხარდაჭერა, ჭირდებათ ნამდვილი თვითმმართველობა. ჩვენს კოალიციას ბევრი აქვს ნამუშევარი თითოეულ ამ პრობლემაზე.

ჩვენ უკვე გავერთიანდით, უკვე შევქმენით კოალიცია და ვიცით, როგორი მნიშვნელოვანია ბალანსი ძალაუფლების განაწილებისას. ჩვენ გვყავს ძლიერი და ყველაზე მეტად პროევროპელი ლიდერები, რომელთაც შეუძლიათ ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებები დაიწყონ უკვე 27 ოქტომბრის დილასვე. ჩვენ გვყავს ძლიერი ეკონომიკური გუნდი, რომელმაც იცის, როგორ შექმნას შესაძლებლობების ეკონომიკა, როგორ გაატაროს საქართველოზე უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა და როგორ გაამდიდროს ჩვენი ქვეყანა. ჩვენს გვყავს ამ ქვეყანაში განათლების სფეროს ყველაზე მაგარი პროფესიონალები, რომელთაც იციან, როგორ გახადონ უმაღლესი განათლება მთლიანად უფასო და როგორ უზრუნველყონ თბილისში უფასო სტუდენტური საცხოვრებლების არსებობა. და, რაც მთავარია, ჩვენ გვესმის თვითმმართველობის მნიშვნელობა, ვიცით, რომ მნიშვნელოვანია, სოფლისა და რეგიონების ამბები წყდებოდეს იმავე სოფლებში, იმავე რეგიონებში და ხალხს არ უწევდეს თბილისში მიღებული გადაწყვეტილების ლოდინი და უსიტყვოდ აღსრულება. ჩვენი ფული რეგიონიდან აღარ უნდა მიდიოდეს თბილისში და აღარ უნდა აღმოჩნდეს ბიძინა ივანიშვილის და კახა კალაძისნაირების ჯიბეში, ის უნდა რჩებოდეს ადგილზე და ხმარდებოდეს რაიონს ისე, როგორც ამას ადგილობრივი მოსახლეობა გადაწყვეტს. ტყე, საძოვრები, წიაღისეული და ყველაფერი რაც სოფელშია, უნდა ეკუთვნოდეს ამ სოფლის მაცხოვრებლებს, არავის არ უყვარს ადგილობრივი გარემო მეტად, ვიდრე მათ და ვერავინ მოუვლის ამ ყველაფერს უკეთ.

და ბოლოს, დარმწუნებული ვარ, 26 ოქტომბერი იქნება საქართველოს ისტორიაში ამომრჩევლის უპრეცედენტო აქტიურობის დღე და შევა ისტორიაში, როგორც დღე, რომელმაც შეიყვანა საქართველო ევროკავშირში... დღე, რომელმაც დაუდო სათავე საქართველოს გამდიდრებას, ქვეყანაში სიმშვიდის და უსაფრთხო გარემოს შექმნას... დღე, რომელმაც გაგვახსენა, რომ ვართ ერთიანი, ძლიერი და ევროპული ერი და დღე, რომელმაც საბოლოოდ მოგვიტანა ცვლილება.

ხათუნა სამნიძე: თუ ეს ხელისუფლება დარჩა, ამ ქვეყანაში არც მშვიდობა ინება და არც თავისუფლება

– „რესპუბლიკური პარტია“ შეუერთდა „კოალიციას ცვლილებისთვის“. რატომ? რას მიიტანს კოალიციაში, ამ ძალზე სპეციფიურ საარჩევნო კამპანიას რითი გააძლიერებს?

– არსებულ სისტემაში და გარემოში, პარტიების გაერთიანება აუცილებელია იმისთვის, რომ შეიცვალოს ეს ხელისუფლება. რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი შეიქმნა. კონკრეტულად ამ კოალიციასთან შეერთება განაპირობა იმ იდეებმა და შეხედულებებმა, რაც აქ გაერთიანებულ პოლიტიკოსებს აქვთ. ჩემთვის უპირველესია პროგრესი, თავისუფლება, პროფესიონალიზმი და ამას ვხედავ კოალიციაში. პროგრესი რომ არ იყოს, ჩვენ დიდი პრობლემები გვექნებოდა როგორც ინდივიდუალურად, ისე ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, პროგრესი რომ არ იყოს, მე ცოცხალიც არ ვიქნებოდი.

თავისუფლება არის ის იდეა, რისთვისაც შეიქმნა „რესპუბლიკური პარტია“. „დროას“, „გირჩი მეტი თავისუფლებას“ ბოლო წლების განმავლობაში ვხედავდით ბრძოლაში. ნიკა გვარამიას და ნიკა მელიას ბრძოლა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე აჩვენებს, რომ უკომპრომისო მებრძოლები არიან, რაც უმნიშვნელოვანესია ჩემთვის. რაც მთავარია, ამ კოალიციას ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკა აქვს. გარდა ამისა, „დროა“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“ „რესპუბლიკურ პარტიასთან“ ერთად, „ალდეს“, ლიბერალური პარტიების გაერთიანების წევრები ვართ. ჩვენი იდეები და იდეოლოგია ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან და ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანია კამპანიის დროს. რესპუბლიკური პარტია ყოველთვის აქცენტს აკეთებდა ადამიანის უფლებებზე, ქვეყნის დეცენტრალიზაციაზე, თვითმმართველობის განვითარებაზე და ეს ის იდეებია, რომელიც დიდი ხანია ამ კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკოსებისგან ისმის.

ვფიქრობ, რესპუბლიკური პარტიის არჩევანი იქნება განმსაზღვრელი ბევრი ადამიანისთვის იმიტომ, რომ ეს არ არის არჩევნები, სადაც კოალიციური შეერთებით მხოლოდ ხმებს ვაგროვებთ. ეს არის ის ენერგია და იდეები, რომელსაც ადამიანები უნდა ენდონ ამ ქვეყანაში და გააკეთონ არჩევანი.

ჩვენი ამომრჩევლის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა – კი, უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, მაგრამ ვინ მართავს ამ ქვეყანას მერე და ვინ აიღებს პასუხისმგებლობას სხვადასხვა სფეროებზე და მიმართულებებზე. ვფიქრობ, რესპუბლიკური პარტიის პროფესიონალიზმი და უკომპრომისო ბრძოლა არის ის, რაც მიგვაქვს ამ კოალიციაში. ამ ენერგიით გავაძლიერებთ ერთმანეთს და ამას დაინახავს ამომრჩეველი.

– წინა არჩევნებზეც ცვლილებებს ითხოვდა პროდასავლური ამომრჩეველი, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა. თქვენი აზრით, რა იქნება გარანტია, რომ ამ ჯერზე ყველაფერი გამოვა?

– დიახ, მაშინაც უმრავლესობა ელოდა ცვლილებებს, რადგანაც უმრავლესობა ამ ქვეყანაში არის პროდასავლელი. ჩემი აზრით, წინა წლებისგან განსხვავებით, წელს ძალზე მოტივირებულია ამომრჩეველი, რადგან ხედავს, რომ ამ ხელისუფლებას მივყავართ რუსეთისკენ და თუ ის კვლავ დარჩება, ამ ქვეყანაში არც მშვიდობა იქნება და არც თავისუფლება.

> ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი თვითმმართველობა. დაინახავს ამომრჩეველი, რომ ეს არის ის კოალიცია, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ ამ ქვეყანაში გაძლიერდებიან სოფლები, რეგიონები, თითოეული მოქალაქე იქნება ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მეორე კითხვაც უჩნდება ადამიანს – მე თუ ვცვლი (და სწორედ ამომრჩეველი ცვლის ხელისუფლებას), ვის ვაბარებ, რას გააკეთებენ, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, ვინ არიან ლიდერები – ამ მთავარ კითხვაზეა, ჩემი აზრით, პასუხი გასაცემი.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს უნდა დაინახოს ამომრჩეველმა, რომ ამ კოალიციაში და სხვა ცენტრებშიც არიან კონკრეტული პოლიტიკოსები და პარტიები, რომელთაც შეუძლიათ მართვა კოალიციურად. ამ ქვეყანას კოალიციური მართვის გამოცდილება არ აქვს. 2012 წელს „ქართული ოცნებაც“ კოალიციურად მოვიდა, მაგრამ იქ მაინც ერთი პარტია იყო დომინანტური. დღეს ეს სიტუაცია არ გვაქვს. დღეს თანასწორი კოალიციური ერთობაა და უნდა დავანახოთ ამომრჩეველს, რომ შეგვიძლია დიალოგი.

ცვლილების გარანტია არის ამომრჩევლის მოტივაციის შენარჩუნება მთელი საარჩევნო კამპანიის დროს, – უნდა იყოს მაღალი აქტივობა, აუცილებლად უნდა წავიდეს არჩევნებზე და ოპოზიციას მისცეს ხმა, – მხოლოდ ესაა ცვლილების გარანტია.

გადაუწყვეტელი ამომრჩეველი უნდა დავარწმუნოთ ცვლილებების აუცილებლობაში იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ჭირდება ევროპული გზის განმტკიცება, რომელიც შეარყია „ქართულმა ოცნებამ“. ვხედავთ, რომ ამ ქვეყანას ის შეატრიალებს რუსეთისკენ. ჩვენი მთავარი გზავნილი, პირველ რიგში, ქვეყნის კურსის ცვლილების საფრთხეა.

მეორე მნიშვნელოვანი გზავნილია ის, რომ „ოცნებას“ მეოთხე ვადით უნდა ხელისუფლებაში დარჩენა. თუ ეს ასე მოხდა, ჩათვლის, რომ ყველაფერი გასდის ამ ქვეყანაში და კიდევ უფრო უარესის მოლოდინი უნდა გვქონდეს – ის გადავა რეპრესიებზე, თავისუფლების შეზღუდვაზე და ქვეყანას მთლიანად რუსული მმართველობის სტილზე გადაიყვანს – ესაა საშიშროებები, რომელიც არსებობს.

პოზიტივი კი ისაა, რომ ოპოზიციის მხარეს არიან ადამიანები და პოლიტიკური პარტიები, რომელთაც აქვთ ქვეყნის მართვის გამოცდილება, რომელთაც დაუშვიათ შეცდომები და ნანახი აქვთ, როგორ რეაგირებს საქართველოს მოქალაქე ამ შეცდომებზე. ამ ხალხს შეუძლია დიალოგის საფუძველზე, აბსოლუტური ძალაუფლების გარეშე, კოალიციურად, დიალოგით და ერთმანეთთან შეთანხმებით მართონ ეს ქვეყანა ისე, რომ მოქალაქე ჩართული იყოს მართვის პროცესში. თვითმმართველობის და დეცენტრალიზაციის იდეა აქვს თითქმის ყველა კოალიციას. რომელი უფრო დამაჯერებელია, ამას გადაწყვეტს ამომრჩეველი, მაგრამ ჩვენი კოალიციის წევრები არაერთი წელია ვლაპარაკობთ ამ თემებზე – ამ ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი თვითმმართველობა. დაინახავს ამომრჩეველი, რომ ეს არის ის კოალიცია, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ ამ ქვეყანაში გაძლიერდებიან სოფლები, რეგიონები, თითოეული მოქალაქე იქნება ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

– თქვენი აზრით, რისი გაკეთება, უფრო სწორად, რისი გაფუჭება შეუძლია არჩევნებამდე მმართველ ძალას?

– ისინი გაზრდიან პროპაგანდის მასშტაბებს და მოქალაქეებზე ზეწოლას. ამ არჩევნებზე მაქვს მოლოდინი, რომ ისინი თავს დაესხმებიან განსხვავებული პოზიციის მქონე მოქალაქეებს. ეს გაძლიერდება. მათ იციან, რომ ამგვარი ადამიანები უფრო მეტი და მეტია, უფრო გამბედავია, ამომრჩეველი ღიად ამბობს, რომ ოპოზიციურადაა განწყობილი. ველი, რომ ხელისუფლება არა მხოლოდ ოპოზიციას გაუხსნის ცეცხლს პროპაგანდითა და გაშავებით, მოქალაქეებზეც გადავა ეს ძალადობა და მგონია, რომ ამ ნაწილში ჩვენი ამომრჩეველი კიდევ უფრო ნათლად დაინახავს, რაოდენ საშიშია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა.

მგონია, რომ გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე კონტრპროდუქტიულია პროპაგანდა. მაგალითად, ბაობაბების გახმობა ოპოზიციას დააბრალეს, რაზეც მათ საკუთარ ამომრჩევლებსაც ეცინებოდათ, ჰქონდათ განცდა, რომ გაგიჟდნენ. რაც უფრო შევალთ საარჩევნო ფაზაში და რაც უფრო გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“, კიდევ უფრო მძიმე და დაუჯერებელი იქნება პროპაგანდა. ცხადია, მათი ამომრჩევლის ნაწილზე ეს მოქმედებს, მაგრამ ჩვენი ამომრჩეველი გაცილებით წინაა, ვიდრე პოლიტიკური ელიტა, გაცილებით გამოცდილია და ამიტომ არ მგონია, რომ ეს მოგონილი ინსინუაციები და ბოდვები, ასე მასობრივად იმოქმედებს მათზე.

– ხელისუფლების მთავარი საარჩევნო მესიჯბოქსი იქნება თამაში ემოციებზე – ომი-მშვიდობა. რას დაუპირისპირებთ ამას?

– დიახ და ესაა ყველაზე საშიში. მაგრამ, წინა წლებისგან განსხვავებით, ოპოზიცია არ შედის ამ ტიპის დისკუსიაში „ქართულ ოცნებასთან“. არ აწარმოებს საარჩევნო პროცესს ხელისუფლების დღის წესრიგით, არ ყვება მას და არ დგას თავის მართლების რეჟიმში. პროპაგანდა არის ის, რაზეც არ უნდა რეაგირებდეს არავინ, ეს ვისწავლეთ და ჩვენს ხელშია. აუცილებელია, მაქსიმალურად ველაპარაკოთ ამომრჩეველს არგუმენტებითა და ფაქტებით – სად არის სინამდვილეში მშვიდობა – დასავლეთში, ევროკავშირში, კოალიციურობაში, დიალოგში, თანამშრომლობაში, მოქალაქის ჩართულობაში, თუ – მეორე მხარეს, სადაც აბსოლუტური ძალაუფლება აქვს ერთ პარტიას. ამ ქვეყანაში გვინახავს, რამდენად აფუჭებს აბსოლუტური ძალაუფლება, თუნდაც, დიდი მხარდაჭერით მოსულ ხელისუფლებას. მეოთხე ვადით „ქართული ოცნების“ დარჩენა ნიშნავს რუსეთისთვის ქვეყნის ჩაბარებას და ეს არ არის მხოლოდ სიტყვები. ფაქტია, რომ ამას ჩვენს თვალწინ აკეთებენ კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით.

„ქართული ოცნება“ ეცდება, მარტივად არ დათმოს არჩევნები, სამწუხაროდ, ამის მოლოდინი მაქვს. მანდატების უმრავლესობა ექნება ოპოზიციას, ახალი სისტემით, არჩევნების დღეს გაყალბების მინიმალური შანსია. ოპოზიციასა და მოქალაქეებზე ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო თავდასხმა გვაჩვენებს, რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს 27 ოქტომბერს. „ქართული ოცნება“ არ არის ის, ვინც მარტივად გადააბარებს ხელისუფლებას. მაგრამ ჩვენ არც მარტო ვართ, მოქალაქეებიც მოტივირებულნი არიან და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც ხედავენ, სად არის სიმართლე და მხარდაჭერა. ეს არის მთავარი – მაქსიმალურად უნდა ვითანამშრომლოთ საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლებიც უკვე 30 წლის მანძილზე უზრუნველყოფენ ამ ქვეყნის კეთილდღეობას.

> ბაობაბების გახმობა ოპოზიციას დააბრალეს, რაზეც მათ საკუთარ ამომრჩევლებსაც ეცინებოდათ, ჰქონდათ განცდა, რომ გაგიჟდნენ. რაც უფრო შევალთ საარჩევნო ფაზაში და რაც უფრო გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“, კიდევ უფრო მძიმე და დაუჯერებელი იქნება პროპაგანდა.

ოქტაი ქაზუმოვი: ხელისუფლებას სურს, დაავიწყებინოს მოქალაქეებს მთავარი – საქართველო

ოქტაი ქაზუმოვი – დაიბადა 1984 წლის 29 აგვისტოს, მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირში. დაამთავრა თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატი (ქართული ენა და ლიტერატურა), 2009 წელს ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურა (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განხრით). ამჟამად თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტია. 2014-2018 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. არის ტელეკომპანია ფორმულას გადაცემა „მე-17 სართულის“ ერთ-ერთი თანაწამყვანი. აზერბაიჯანულიდან ქართულად თარგმნილი აქვს შემდეგი ნაწარმოებები: აზერბაიჯანული პოეზია ქართულად, ქართული პოეზია აზერბაიჯანულად, თარგმანი (კავკასიური სახლი) 2007; მირზა ფათალი ახუნდზადეს პიესა – ბოტანიკოს მუსიე ჟორდანისა და ჯადოქარ მასთალი შაჰის ამბავი (ინტელექტი) 2013; გიუნელ მოვლუდის ავტობიოგრაფიული რომანი - „ბანაკი“ (სულაკაურის გამომცემლობა) 2024 ქართულიდან აზერბაიჯანულად თარგმნილი აქვს: ვაჟა-ფშაველას პოემა გოგოთურ და აფშინა (დიოგენე), 2012; ქართველი პოეტების: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის და სხვათა ლექსები. არის ლიტერატურული წერილების კრებულის 129 გვერდი ლიტერატურაზე ავტორი (ინტელექტი) 2012.

– რა გამოცდილებით უერთდებით კოალიციას, რას შემატებთ მას?

– 2013 წლიდან სამოქალაქო აქტივიზმით ვარ დაკავებული, რომელიც სხვა მეგობრებთან ერთად, ძირითადად, არა-დომინანტური საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე თანამოქალაქეების (სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში საზოგადოება მკვეთრად იერარქიულია), კერძოდ კი, რელიგიურისა და ეთნიკურის, უფლებების დაცვას, სოლიდარობის ჩამოყალიბებასა და მათ მიმართ საზოგადოებაში მგრძნობელობის გაზრდას ითვალისწინებს.

ადამიანსაც, საზოგადოებასაც, ზოგჯერ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს საკითხები, რომლებიც თავისი არსით მნიშვნელოვანი კია, თუმცა გადაწყვეტის მოლოდინშია მუდამ და ამდენად, ყურადღება არ ექცევა. ხშირად ასეთ პრობლემებს ხელისუფლება თავად ყინავს, არაპოპულარულად მიაჩნია და გადაავადებს ხოლმე (ჩვენ ამას ხშირად „პოლიტიკური ნების უქონლობად“ ვრაცხთ). არადა, პოლიტიკაც ხომ სწორედ იმისთვისაა საჭირო, რომ ეს საკითხები ჯერ გამომზეურდეს, გასიგრძეგანდეს და შემდეგ თანმიმდევრულად, სიღრმისეულად გადაიჭრას?

კოალიცია იმიტომაა კარგი და მნიშვნელოვანი, რომ მას, ჯერ ერთი, უფრო მეტი საკითხის მოცვა/წამოწევა შეუძლია და შემდეგ, მათი გადაწყვეტის გაცილებით უფრო მეტ ვარიანტებს გვთავაზობს, რასაც სწორედ თავისივე „კოალიციურობას“ ე.ი. ფართო ინკლუზიურობას უნდა უმადლოდეს. კოალიციას „ცვლილებისთვის“, რომელსაც გუნდთან, „აქტივისტები მომავლისთვის (საინიციატივო ჯგუფი)” ერთად ვუერთდები, ზემოხსენებულ „გამოსამზეურებელ“ საკითხებს და მათი გადაჭრის კონსტრუქციულ გზებს

დღეს მთელი ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას. აქ მხოლოდ ის პარტია კი არაა ასარჩევი, რომელიც ჩვენ პოლიტიკურ შეხედულებებს, განწყობებს ესადაგება, არამედ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის რუსეთიზაციის საშიშროების წინაშე ვდგავართ.

შევთავაზებთ, რაც რეგიონებში და შესაბამისად, მთელ ქვეყანაში კოალიციის პოზიციებს კიდევ უფრო გაამყარებს.

– თქვენ ხვდებით ადამიანებს რეგიონში. რა განწყობაა. რას ითხოვს ამომრჩეველი ლიდერებისგან, პოლიტიკოსებისგან?

– პირველ ყოვლისა, საგნობრივ მსჯელობას და დაპირებების ასრულებას. ადამიანებს წლებია მოუგვარებელი პრობლემები აწუხებთ და უფლებამოსილი პირებისაგან თანმიმდევრულ, პროგნოზირებად მიდგომებს ვერ ხედავენ. დღევანდელი ხელისუფლება საქმის გამოსწორების მაგიერ კიდევ უფრო აფუჭებს მას. გარდა ამისა, ძირითადი წუხილი ისაა, რომ აქამდე ლიდერები და ზოგადად პოლიტიკოსები ხალხისგან წამოსულ პრობლემებს კი არ აგვარებენ, არამედ თავად წამოაყენებენ ხოლმე ერთ რომელიმე შეთითხნილ საკითხს და შემდეგ მთელ ძალისხმევას ამისკენ მიმართავენ. ხალხს მოთმინებისა და ნდობის დიდი რესურსი გააჩნია, მაგრამ არა უსაზღვრო. შესაბამისად, თუკი ცხადლივ ვერ დაინახავს, თუკი რეალურად ვერ იგრძნობს, რომ მის საწუხარს მოევლება, ყველანაირ სტიმულს, ცხოვრების ხალისს, პერსპექტივას დაკარგავს და შედეგად ქვეყანას ამა თუ იმ ფორმით გამოაკლდება, რისი მოწმენიც დღეს ვართ.

როგორც ყველაფერს, პოლიტიკასაც/პოლიტიკოსსაც გულწრფელება, სინდისიერება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და თანმიმდევრულობა ამშვენებს.

თუ დაკვირვებიხართ, ჩვენში, ჩადენილი შეცდომის გამო გულწრფელი, საქმითი მობოდიშება ძალიან ჭირს. მიიჩნევდე თავს უშეცდომოდ ყველაზე დიდი შეცდომაა, იაზრებდე შეცდომას და არ გამოასწორო – ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა.

ამ არჩევნებს ერთი ის სიახლე გასდევს თან, რომ ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიებისგან გამსვლელ სიებში ნდობის ყოველგვარ რესურსამოწრეტილი პოლიტიკოსების შეყვანას, შემოთავაზებას კი არა, საზოგადოებისგან წამოსული აქტიური მოქალაქეების წარდგენას ითხოვს (!). ეს ქვემოდან წამოსული ცვლილებაა და პოლიტიკურმა პარტიებმა ყური უნდა უგდონ.

დღეს მთელი ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას. აქ მხოლოდ ის პარტია კი არაა ასარჩევი, რომელიც ჩვენ პოლიტიკურ შეხედულებებს, განწყობებს ესადაგება, არამედ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის რუსეთიზაციის საშიშროების წინაშე ვდგავართ. ჩვენი ქვეყნის წარსული ისტორია გვეუბნება, როცა მარტონი ვიყავით და არ ვვითარდებოდით, სახელმწიფოებრიობას ვკარგავდით. ყველა არჩევანი მნიშვნელოვანია, 26 ოქტომბრისა კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. გადაუწყვეტელ ამომრჩეველს შევახსენებ, რომ სახელმწიფოებრიობის ქონა ფუფუნებაა და იგი ყველას არ გააჩნია. დღევანდელმა ახალგაზრდებმა რუსული კანონის გაპროტესტებისას ეს შეგვახსენეს. გადაუწყვეტლობაც გადაწყვეტილებაა, მაგრამ გაუმართლებელი. ყოველი არჩევნებისას მოქალაქეები თავიანთ ნებას კი გამოხატავენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შემდეგ ამ გამოხატულ ნებას მიყოლა სჭირდება, რაც არჩეული პოლიტიკური ძალის ზედამხედველობას, დაპირების შეუსრულებლობისას აქტიურ მხილებას გულისხმობს. პასიური მოქალაქე ცუდ ხელისუფალს შობს, რომლითაც ისევ თავად ზარალობს.

დღეს კოალიციაში „ცვლილებისთვის“ კრეატიული პოლიტიკური იდეებით გამორჩეული ხალხი იკრიბება. აქედან ზოგს პოლიტიკური გამოცდილება უმაგრებს ზურგს, ზოგი ახალი სახეა და როგორც ზემოთ მივუთითეთ, ხალხის ხმას წარმოადგენს.

ვფიქრობ, პოლიტიკური პარტია თუ პარტიათა ერთობა, რომელიც თავის რიგებში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს ნამდვილად უთმობს ადგილს და არათუ უთმობს, არამედ ქმნის შესაბამის სივრცესაც მათი ხმის გასაგონად ,მეტად დასაფასებელია.

– რამდენად მუშაობს რეგიონში პროსახელისუფლო პროპაგანდა? რას უპირისპირებთ ამას?

– „ქართული ოცნება“ ხვდება, რომ დიდი ხანია ამოწურული აქვს თავისი თავი, ხელისუფლების მისატაცებლად არაფერს თაკილობს. ქვეყნის „გათავისუფლების“ იდეით მოსულისგან, იქით გვაქვს ქვეყანა გასათავისუფლებელი. ხელისუფლებას ყველა მეთოდით, ძირითადად გამოგონილი ამბებით, დაშინებით, მოსყიდვით, დაპირებით სურს კვებოს მოქალაქეები და დაავიწყებინოს მთავარი – საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა. ეს კი ჩვენი ქვეყნის მხოლოდ ტერიტორიად ქცევის პერსპექტივას გვიქადის და როგორც სახელმწიფო, საუკუნეთა მანძილზე ამის მრავალი სამწუხარო ფაქტის მოწმენი ვყოფილვართ. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში, ცარისტული რუსეთის უღელქვეშ საქართველო მხოლოდ პირობითი სახელი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიისა, სხვადასხვა ოლქებისა თუ მაზრებისა, ხოლო საბჭოეთის დროს მხოლოდ ფორმალურ ნიშნებს ატარებდა სახელმწიფოებრიობისა.

ჩვენ მხოლოდ ხელისუფლების დეზინფორმაციის მხილებით არ შემოვიფარგლებით, არამედ რეალური პერსპექტივების, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკაში, განათლებაში, ტურიზმში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებზე ვიმსჯელებთ მათთან ერთად. სიცხადე და გულწრფელობა, რეალობაზე დაფუძნებული დაპირებები და მათი აღსრულების მექანიზმების ჩვენებაა ის, რაც ხელისუფლების პროპაგანდის ბურუსს გაფანტავს. ამისთვის მოსახლეობასთან პირისპირი შეხვედრები, მათი ინფორმირება მეტად მნიშვნელოვანია.

– რა იქნება 27 ოქტომბერს?

– 27 ოქტომბერს საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება თავის ევროპულ მომავალს, ჩვენ გვექნება მრავალფეროვანი პარლამენტი და კოალიციური მთავრობა. ეს იმ ასიათასობით ადამიანის მოთხოვნაა, რომელმაც თვეების განმავლობაში ავსებდა რუსთაველის გამზირს და არა მხოლოდ. ამას წინ ვერავინ დაუდგება.

როდესაც სპორტი, სპორტზე მეტია

■ ვანო წერეთელი

თხრობის დაწყება ყოველთვის რთულია.

თუმცა ეს სხვა შემთხვევაა! წარმატებული გაზაფხულისა და ზაფხულის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და სპორტზე საუბრის დაწყება გამარტივდა, რაც ყველაზე მთავარია, ზუსტად იცი, რა სიტყვებით უნდა დაიწყო: „მიდის სანახავად, მიდის სანახავად!“ და მსმენელი თუ მკითხველი არ მოგაკლდება. ხოდა, ჩვენც მივიდეთ და ვნახოთ, რატომ არის სპორტი ქართველებისთვის სპორტზე მეტი?

დაწყებამდე კი ერთი კითხვა უნდა დაგისვათ, რა შეედრება სპორტულ წარმატებას? - დადებულ ლელოს, მოწინააღმდეგეს კალათში მოთავსებულ თუ ბადეში გახვეულ ბურთს, მოხერხებულად მოქნეულ ჰუკსა თუ აპერკოტს, ორჭიდის ჯამში დაფიქსირებულ 470 კილოგრამს, ტატამზე გაკრულ მოწინააღმდეგეს და ოლიმპიურ მედალს და თანაც 1 ბრინჯაოს, 3 ვერცხლსა და 3 ოქროს და 24-ე ადგილს 206 ქვეყანას შორის? პასუხი მარტივია - არც არაფერი და ვერც ვერაფერი!

და ფეხბურთი? 1981 წლის 13 მაისი... „დი-ნა-მო, დი-ნა-მო“... თუმცა, საბედნიეროდ!!! მხოლოდ ეს გამარჯვება აღარ არის ქართული ფეხბურთის ერთადერთი მთავარი წარმატება, ის წარსულად იქცა, რასაც აღარ მისტირის გამარჯვებას მონატრებული ქართველი გულშემატკივარი იმიტომ, რომ არსებობს ევროპის 2024 წლის ჩემპიონატი, სადაც დებიუტანტმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მერვედფინალში ითამაშა, გოლიც შეაგდო და მთელი ნახევარი საათი მომავალ ჩემპიონს - ესპანეთის საოცარ ნაკრებს უგებდა. ეროვნულმა ნაკრებმა მთელი ერი დაგვარწმუნა, რომ პროფესიონალიზმს, მონდომებას და თავდადებას შეუძლია, წარუმატებლობა წარმატებით შეცვალოს და ქვეყანას ბედნიერება მოუტანოს. ფეხბურთელებმა გვაჩვენეს, რომ გუნდურობით, საკუთარი თავის რწმენით და ერთმანეთის გვერდში დგომით, სწორი და მიზანმიმართული ქმედებით გამოწვეულ ცვლილებას დასახულ გამარჯვებამდე მივყავართ!

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“... წითელჯვრიანი დროშებისა და მაისურების ტალღა.. და ფეხზე დამდგარი, აღელვებული, გამარჯვების სიხარულით ყელში ბურთმომჯდარი, ცრემლიანი და, რაც მთავარია, ერთიანი ქართველი ერი, რომელსაც ვეღარაფერი შეაჩერებს, თვით ფეხბურთის ლეგენდა კრიშტიანუ რონალდუც კი!!!

ვიცი, მკითხველთა ნაწილს სპორტის სხვა სახეობა უფრო უყვარს, თუმცა, ფაქტია, რომ სპორტის მეფე ფეხბურთია! მუნდიალი კი – სამყაროს მთავარი სპორტული მოვლენა! მხოლოდ ოლიმპიადა თუ შეედრება პოპულარობით, მნიშვნელობითა და მასშტაბით.

რასაკვირველია, ოლიმპიადაზე წარმატებამ დიდი სიხარული მოუტანა ქართველებს, მაგრამ ფეხბურთმა გაერთიანა ქვეყანა, რადგან ფეხბურთი მთავარი სპორტია საქართველოშიც. როდესაც ხალხი საკუთარ ეროვნულ გუნდს ქომაგობს, სტადიონსა თუ ეკრანებთან გვერდიგვერდ მდგარი თუ მსხდარი არ ეკითხება ერთმანეთს პოლიტიკური თუ სხვა სახის მრწამსის შესახებ, იმ დროს ქვეყანა ერთიანია და კარის ბადეში გახვეული ბურთის მეტი არაფერი აინტერესებს.

ხალხი მეთორმეტე მოთამაშე ხდება!!!

ხშირად სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი სპორტზე მეტია! მე არ შეგაწყენთ თავს საფეხბურთო ტაქტიკების განხილვითა და წმინდა სპორტული ახსნებით. ეს საკითხი ჩემზე კომპეტენტური ადამიანებისთვის დამითმია. მე იმას მოგიყვებით, რაც ჩემი საქმეა, იმას შეგახსენებთ, რატომ ეხმარება სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი ეროვნული იდენტობის შექმნას და რატომ გახდა 1981-ში კოტე მახარაძის ნათქვამი სიტყვები და 2024-ში გიგა გვენცაძის „მიდის სანახავად“ ეროვნული სულისკვეთების გამოხატულება. ჩვენ გვიხაროდა არა მხოლოდ გამარჯვება, ასევე გვიხაროდა, რომ მთელი საფეხბურთო სამყარო გვაქებდა, აქებდა როგორც ფეხბურთელებს, ასევე გვაქებდა ქომაგებსაც, რადგან ფეხბურთის გუნდი მხოლოდ ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი არ არის, ფეხბურთის გუნდი ის იდენტობა თუ ერთობაა, რომლის ნაწილს ხალხიც წარმოადგენს, ხალხი, რომელიც ტრიბუნებზე ზის და ისიც, ვინც ქალაქის ქუჩებსა და სკვერებიდან ან სახლში ტელევიზორის ეკრანებიდან ქომაგობს ნაკრებს, ჰიმნის მოსმენისას ფეხზე დგას და ყველა ნიუანსზე გულის ექოსკოპიასავით მგრძნობიარეა.

როგორც ყველაფერს, ფეხბურთსაც აქვს ისტორია. ქართული ფეხბურთის დაბადება მეზღვაურ ინგლისელებთან და საპორტო ქალაქებთანაა დაკავშირებული, ეს ამბავი ხომ მშვენივრადაა ნაჩვენები შესანიშნავ მხატვრულ ფილმში. 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში 100-ზე მეტი საფეხბურთო გუნდი არსებობდა. პრფესიული ფეხბურთის განვითარება კი საქართველოში საბჭოთა პერიოდს დაემთხვა. საბჭოთა იმპერიის ტყვეობამ მიანიჭა სწორედ ფეხბურთს ეროვნული სულისკვეთება, რადგან სპორტული, განსაკუთრებით საფეხბურთო მოედნები და სტადიონები, მხოლოდ სპორტული ჟინის და გამარჯვებისკენ სწრაფვის გამოხატულებად კი არა, ეროვნული გრძნობების გამოხატვისა და მუხტის შექმნის შესაძლებლობად იქცა. აი, რას წერს პოლიტიკის დოქტორი, ფეხბურთის მცოდნე და გულშემატკივარი ნინო სამხარაძე სამეცნიერო კვლევაში: „საბჭოთა მმართველობის პირობებში ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე“, რადგანაც ჯერ ცარისტული რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიების მმართველობის პირობებში თავისუფლება შეზღუდული იყო და ეროვნულ ინტერესებზე საუბარი დანაშაულად ითვლებოდა, ნაციონალისტური ემოციების გამოხატვის საშუალებად სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი იქცა. ნაციონალიზმი ერის ცნებასთან არის კავშირში. ერთი საინტერესო ამბავია, სანამ რაღაცის შესახებ კითხვას დასვამ, თითქოს მისი მნიშვნელობა იცი, აი, კითხვას რომ დასვამ, აღმოაჩენ, რომ ზუსტი განმარტება რთული სათქმელია. ქართული ფილმი „სხვისი შვილები“ თუ გახსოვთ? შვილი ეკითხება მამას – მამა, მთა რა არის? და მამას უჭირს განმარტება. უხერხული სიცილით მხოლოდ ხელის მოძრაობით აჩვენებს შვილს რა არის მთა.

ხოდა, რა არის ერი? რა არის ქართველი ერი? აი, კითხვა, რომლის პასუხიც მანამდე გგონია მარტივი, სანამ ამ კითხვას დასვამ, მერე კი რთულდება. ხოდა, აი, ქართველი ერი ისაა, ვინც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ქომაგობს უპირობოდ. არ არსებობს ქართველი, ვისაც „დინამო, დინამო“ და „მიდს სანახავად“ ჟრუანტელს არ გვრის, მიუხედავად იმისა, ფეხბურთი, როგორც სპორტის სახეობა, ან სულაც ზოგადად სპორტი უყვარს თუ არა. ქართველის წარმატებამ დაგვაწყებინა ქართველებს სუმოს ყურება, აბა მანამდე საერთოდ არც კი ვაქცევდით ყურადღებას ორი თითქმის შიშველი მსუქანი კაცის ორთაბრძოლას, რაც, მოდი ნუ დავმალავთ და, სულაც არ არის საცქერლად საამო.

საქართველოში ფეხბურთის წარმატების სახელი „დინამო“ იყო. რეალურად, საბჭოთა პერიოდში, თბილისის „დინამო“ საქართველოს ეროვნული ნაკრებს წარმოადგენდა. საქართველოში დაბადებული საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ „დინამოში“ იყრიდნენ თავს. ბევრი მათგანი 15 რესპუბლიკისგან შემდგარი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ერთად თამაშობდა და კაპიტნობდა კიდეც, რაც მოგეხსენებათ, სპორტის საბჭოთა პოლიტიკის ფარგლებში დიდი აღიარებაა.

სპორტული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაზე ნინო სამხარაძესთან ინტერვიუში იხსენებს, „დინამო“ იყო გუნდი, რომლის ირგვლივ ვტრიალებდით ყველა და ჩვენი ემოციები გადართული იყო თბილისის „დინამოზე“, იმიტომ რომ თბილისის „დინამო“ იყო არა მხოლოდ საფეხბურთო გუნდი, არამედ ეს იყო ეროვნული გამოხატულებაც. იქ ნაციონალური სულისკვეთებაც იყო, ეროვნული ტრადიციებიც იდო, ჩვენი ხალხის ხასიათიც იდო, ყველაფერს განასახიერებდა ეს გუნდი და ამას ხალხი კარგად გრძნობდა“.

საფეხბურთო გუნდის მთავარი ნაწილია სტადიონი. სტადიონი მხოლოდ შენობა არაა, „დინამოს“ სტადიონი ქართველებს ისევ უყვართ, როგორც საკრალური ადგილი. იმიტომ, რომ ეს არის ისტორიის საცავი, მეხსიერების ადგილი, რომელთანაც დაკავშირებულია ემოციები, წაგებისა და მოგების ხიბლი. „დინამოს“ სტადიონი თბილისის იდენტობის და ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. არსებობს ნაგებობათა ნაწილი, რომელიც ქმნის თბილისის სახეს, სულს – ნარიყალას ციხე, დარეჯანის სასახლე, აბანოები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, თბილისის საკრებულოს შენობა, კაზარიანცის სახლი, ფილარმონია, საქართველოს ბანკის შენობა, თიბისის სათაო ოფისი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, პირველი გიმნაზია, სპორტის სასახლე და მათ შორისაა „დინამოს“ სტადიონი – ეს შენიობები და კიდევ ბევრი მათგანი მხოლოდ შენობები არაა, ის ქართული კულტურის ტრადიციაა, ისინი საკრალურ ადგილებს წარმოადგენენ, თავისი სული აქვს და ისტორიას ინახავენ.

„დინამოს“ სტადიონი ქართული ფეხბურთის ისტორიაა, საქართველოს ისოტორიაა!

და ვიღაცას უნდა, რომ ეს ასე აღარ იყოს!

დიდი გამარჯვების შემდეგ ქართველი გულშემატკივარი ელოდება საკუთარი გუნდის ხილვას საკუთარ სტადიონზე. 7 სექტემბერს ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებს ვუპირისპირდებით ერთა ლიგის ფარგლებში და უცბად ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ “დინამოს” სტადიონი თითქოს ამორტიზებულია. არადა, „დინამოს“ სტადიონის ამორტიზების შესახებ აქამდე ინფორმაცია არ გავრცელებულა. სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 2023 წლის უეფას ევროპის 21-წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატისთვის, რომელსაც საქართველომ რუმინეთთან ერთად უმასპინძლა. „დინამო არენაზე“ გამართა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი-ოფის ნახევარფინალური (ლუქსემბურგთან) და ფინალური მატჩები (საბერძნეთთან). მეტიც, 16 ივნისს სტადიონზე ჩატარდა Black Eyed Peas-ის კონცერტიც. თუ ამორტიზირებულია, რატომ ჩატარდა ეს ღონისძიებები, ან სად არის დასკვნა, რატომ არ ტარდება ექსპერტიზა? რატომ არ საუბრობენა ამ საკითხზე კომპეტენტური ადამიანები?

კითხვა ჩნდება.

ხომ არ უკავშირდება ეს ყველაფერი იმას, რომ „დინამოს“ მეპატორნე დაუპირისპირდა „რუსულ კანონს“, ხომ არ არის ისე, რომ ჩვენ, გულშემატკივრები ვისჯებით იმიტომ, რომ დამოუკიდებელო ბიზნესმენი არ ეთანხმება მთავრობის გადაწყვეტილებას, არ უქნევს თავს ქვეყნის დასვლური კურსის ცვლილებას?

ფაქტია, რომ „დინამოსთან“ დაკავშირებით პრობლემებზე საუბარი სწორედ ამ განცხადებების შემდეგ დაიწყო, ფაქტია, რომ პოლიტიკური ფაქტორი და დაპირისპირება წყვეტს იმას, რომ ქომაგთა უმრავლესობა ვერ დაესწრება საყვარელი, გამარჯვებული გუნდის თამაშს.

პოლიტიკური ფაქტორი და დაპირისპირება წყვეტს იმას, რომ ქომაგთა უმრავლესობა ვერ დაესწრება საყვარელი, გამარჯვებული გუნდის თამაშს. არადა ქომაგი მეთორმეტე მოთამაშეა! მაგრამ ხელისუფლებას არ აინტერესებს ეს! მისთვის მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება და მზადაა, „დინამოს“ სტადიონიც კი შესწიროს ამას!

არადა ქომაგი მეთორმეტე მოთამაშეა!

ხელისუფლებას ქომაგები მაკედონიასთან ავადსახსენებელ თამაშზე რომ დაეშვა, შეიძლება ევროპის ჩემპიონატის წინა გათამაშებაზეც გვეთამაშა.

მაგრამ ხელისუფლებას არ აინტერესებს ეს! მისთვის მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება და მზადაა, “დინამოს” სტადიონიც კი შესწიროს ამას!

წინ დიდი თამაშები გვაქვს! ბევრი გამარჯვება გველოდება! მსოფლიოზეც უნდა გავიდეთ! ჩვენთვის, ქართველებისთვის, ფეხბურთი სპორტზე მეტია!

„დინამოს“ სტადიონს არ დავთმობთ.

წარმატება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს!

საქართველო თავის მდებარეობით ისეთი ქვეყანაა, სადაც ოდითგანვე მრავალი განსხვავებული კულტურა და ტრადიცია იყრიდა თავს. რასაკვირველია, ეს ქართული სამზარეულოს ტრადიციებზეც აისახა. ამიტომ, ქართული კერძები მრავალფეროვანი კულტურების სწორად შერწყმისა და ურთიერთგაზიარების სიკეთეს ალბათ ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენს. სწორედ ამით არის ის ასეთი საინტერესო და გამორჩეული.

გარდა ამისა, ის ასახავს ჩვენი ერის ყველაზე ბუნებრივ და ორგანულ მისწრაფებებს. თუნდა ის, რომ რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, რომლისგანაც ჩვენმა ქვეყანამ თავი ჯერაც ვერ დაიხსნა, ქართულ სამზარეულოს რუსული გავლენა ყველაზე ნაკლებად აქვს შეთვისებული და თავის შინაარსით გაცილებით მეტად ჰგავს საუკეთესო ევროპული და აღმოსავლური ქვეყნების სამზარეულოებს – და თან ქართული პეწით არის დამშვენებული.

უკვე მე-19 საუკუნეში ჩვენ გვყავდა ბრწყინვალე მოღვაწე ქალი – ბარბარე ერისთავი ჯორჯაძე, რომელიც მუდმივად სიახლეს ესწრაფვოდა. ის ერთდროულად იყო მწერალიც და მუშაობდა პოეზიასა და დრამატურგიაში, მუდმივად გამოდიოდა ქალთა განთლების იდეით, წერდა პუბლიცისტურ წერილებს, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ჰქონდა საკუთარი აზრი და ამავდროულად იყო პირველი ქართული კულინარიული წიგნის ავტორი, რომელიც დღემდე აქტუალურია. ეს წიგნი გამორჩეულია იმით, რომ ავტორი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ცდილობს, ქართული სამზარეულო სწორედ წლობით შეძენილი მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილებებით გაამრავალფეროვნოს და გაგვიზიაროს.

ბარბარე ჯორჯაძე ჩემი შთამაგონებელი ქალია. როდესაც შეფის (პროფესიონალი მზარეული) პროფესიას ვირჩევდი, ვიცოდი, რომ მეხსიერება არის გემო და მეხსიერება არის ტრადიცია. ცნობილია, რომ ყველა დიდი შეფი თავის ოჯახში – დედისგან და ბებიისგან ნასწავლი რეცეპტებით იწყებს და შემდეგ ამ ტრადიციას საკუთარსაც სძენს.

დედები და ბებიები კი მთელ მსოფლიოში ერთმანეთს ჰგვანან. შესაბამისად, კერძები მსგავსია და თან იმდენად განსხვავებული, რომ სწორი შერწყმით სრულიად უნიკალურ რეცეპტებს ვიღებთ, კულინარიაში ყველა ოჯახს ხომ თავისი ხელწერა აქვს – და ეს ტრადიციაც არის და ინდივიდუალიზმიც.

ისე მოხდა, რომ მეც – ჩემი დედის და ბებიის რეცეპტებით განებივრებულ ადამიანს – ბევრი მოგზაურობა მომიხდა და რასაკვირველია, ყველგან ვსწავლობდი რაიმე ახალს, იმ ქვეყნისთვის ტრადიციულს და ვცდილობდი, ჩემს გამოცდილებასთან შემერწყა. საბოლოოდ ბევრი ისეთი კერძის მომზადებას დავეუფლე, რომელსაც თამამად შემიძლია ვუწოდო – ევროპა, ან თუნდაც – მსოფლიო საქართველოში....

ასე რომ, მე-19 საუკუნის ქართველი ქალი ბარბარე ჯორჯაძე, მე-20 საუკუნის ქალები – ჩემი ბებიები და მე – 21-ე საუკუნის ქეთი ბაქრაძე – აქ ჩვენს გამოცდილებას გაგიზიარებთ, შემოგთავაზებთ ისეთ კერძებს, რომლებსაც თავადაც უადვილესად მოამზადებთ.

ისიამოვნეთ და შეიგრძენით ქართული ევროპა.

სეზონური რეცეპტი შეფისგან:

ქართული სამზარეულოს ჰიტი – აჯაფსანდალი

ჩათუშული ბოსტნეულის კერძი ყველა ქვეყანას აქვს. ფრანგები – ამ კერძში იყენებენ ყველანაირ ბოსტნეულს და უმწვანილოდ აკეთებენ. მწვანილებიდან – მხოლოდ ნიახურს უმატებენ; სამხრეთ იტალიელები – ფენა-ფენად დაჭრილ ბადრიჯანს და პომიდორს ამატებენ სულგუნისებრ ყველს (პომიდორს ცალკე დიდხანს ხარშავენ ცოტა თეთრი ღვინით და ნივრით, შემდეგ უკვე ფენა-ფენა დაჭრილ პომიდორს, ბადრიჯანს ამატებენ ყველს და ზემოდან ასხამენ წინასწარ შემზადებულ პომიდვრის საწებელს და კეცისებრ თიხის ჭურჭელში აცხობენ. საბერძნეთში – ემატება საქონლის ან ცხვრის გატარებული ხორცი – ესეც ფენა-ფენაა და ასევე ცხვება).

ჩემი აჯაფსანდალი ასეთია:

ან ღუმელში ან ბუხარში (შეგვიძლია შამფურზეც) გამოვაცხოთ ბადრიჯანი და ნიორი. ცალკე ვთუშავთ ხახვს, პომიდორს ცხიმზე, შემდეგ ქვასანაყში ვნაყავთ ნიორს, თუ გვაქვს აკაკლებეული ქინძის ღეროებს, თუ არადა – ჩვეულებრივ ქინძს. ცოტა შაშკვლავის ფოთლებს, ვუმატებთ მწიკვზე ოდნავ მეტ შაქარს და მწიკვ მარილს, არა ძალიან ცხარე მწვანე წიწაკას. ამ მასის ნაწილს ვუმატებთ დუღილის პროცესში პომიდორს, და ასევე თეთრ ღვინოს. ღვინო უნდა ამოდუღდეს, შემდეგ ერთ დიდ კეცზე ვათავსებთ მზა ბადრიჯანს და ნიორს, ვასხამთ წამოდუღებულ პომიდორის წვენს, ერთს წამოვადუღებთ და ვასხამთ დანარჩენილ დანაყულ ნივრის მასას მწვანილებთან ერთად; მარილი და პილპილი გემოვნებით მზადების პროცესში... შეგიძლიათ მიირთვათ ცხელიც და ცივიც... გაამოთ...

მსუბუქი დესერტი ქეთისგან:

მარლაში გაწურული მაწონს გავურიოთ ვანილი, შაქრის პუდრი ან სიროფი(გემოვნებით) ერთმანეთში გადავურიოთ და გავაციოთ. 500 გრ. მაწონზე დაგვჭირდება 4-5 მოზრდილი ლეღვი; ლეღვს დავჭრით ოთხად, ვდებთ ტაფაზე, ვაყრით 2 სუფრის კოვზ შაქარს, დარიჩინს და ვანილს მწიკვით, ვასხამთ ნახევარ ჭიქა(100 გრ) წითელ ღვინოს და წამოვადუღებთ დაბალ ცეცხლზე. ეს მასა უნდა გაგრილდეს, შემდეგ გაგრილებულ მაწონს მოვასხათ ღვინოში წამოდუღებული ლეღვის მასა, და მოვაყაროთ ეზოში დაკრეფილი ცოცხალი პიტნის ფოთლები.

ბარბარე ჯორჯაძის რეცეპტი 1874 წელს გამოცემული წიგნიდან



230. კარტოფილის და ჯარხლის სალათა მოხარშული ხორცისთვის. მოხარშეთ ოვრაქეტი კარტოფილი და ქუწვით სამი ჭარხალი; შემდეგ გაფცქვინით, დასჭერით ბრტყელ ნაჭრებათ, მიუმატეთ გირვანქის ერთი მეოთხედი მარილ-წყალში მოხარშული თეთრი ლობიო, ცოტა პილპილი, სამი კოვზი ბრაგანის ზეთი, ძმარი, დაჭრილი მწვანილი; მოურიეთ და მიართვით.

---

231. ჯარხლის სალათა პროვანის ზეთის საწებელათი. აიღეთ უშჯეთესი წითელი ჭარხალი, შეწვით ან მოხარშეთ, ვიდრე არ დარბილდეს; შემდეგ ამოიღეთ, გაფცქვინით, დასჭერით ბრტყელ ნაჭრებათ, ჩადეთ სასალათეში, მოაყარეთ მარილი, პილპილი და მწვანილი, დაასხით ძმარი, ბრაგანის ზეთი; აურიეთ და მიართვეთ.

---

232. ჯარხლის მწნილი სასალათეთ. მოხარშული ან შემწვარი ტკბილი ჭარხალი გაფცქვინით, დასჭერით ბრტყლად, ჩადეთ ბანკაში და დააყარეთ დაფცქვილი ხრენი, დასხით ადუღებული ძმარი, დადგით სამიდამ ოცდა-ოთხ საათამდე. შეიძლება უეოთ დაფცქვილ ოთოლოთან, ბაჭარეთან მარილთან და კოჭასთან ერთად ადუღებული ძმარიც.



თარაგულად: 5. ადგილი, სადაც ვაჭრები ათევდნენ ღამეს. 13. წიგნი, რომელშიც აღწერილია სნეულებები და მკურნალობის რეცეპტები. 14. ზაზა ურუშაძის ფილმი. 15. პორტუგალიელი მოგზაური. 17. კედელი, რომელიც იცავს ქალაქს, სასახლეს ან ციხეს. 19. დიდაქტიკური ხასიათის მოკლე მოთხრობა ან ლექსი. 20. ტოსკანის არქიპელაგის უდიდესი კუნძული. 21. სისხლის მიმოქცევის დიდი წრის მთავარი არტერია. 22. დებულება, რომლის ჭეშმარიტებაც ცხადი და საყოველთაოდ მიღებულია. 23. „კუდიანი ვარსკვლავი“. 24. ქურციკი, ანუ... 27. ცომის პატარა კონვერტები ხორცის, თევზის, ყველის ან ბოსტნეულის გულსართით. 28. ქალ-ღმერთი, რომლის დახმარებითაც პერსევსმა განგმირა გორგონა-მედუზა. 30. უეცარი შიში, რომელიც ნაჩქარევი და გაუაზრებელი ქმედებისკენ გიბიძგებს. 32. ქალაქი გერმანიაში. 33. 1980-იან წლებში გამოცემული ქართული რომანი. 36. დედალოსის ვაჟი. 39. მეხსიერების ნაწილობრივ ან სრულად დაკარგვა. 42. მდგომარეობა ჭადრაკში, როდესაც მეფეს აღარ შეუძლია თავის დაცვა მოწინააღმდეგის ქიშისგან. 43. ავსტრიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი. 44. ბედის მონახევრე. 45. ბეშქენ ... 46. მტაცებელი ფრინველის ბარტყი. 47. მეშვიდე თვე. 50. ნინო ყიფიანის სატრფო. 51. მიმსგავსება, მიბაძვა. 54. სამურაის ხმალი. 55. მილიარდის მეათასედი. 59. სოკოს სახეობა. 61. ძველბერძენი ფილოსოფოსი. 62. დეკორატიული მცენარე სხვადასხვა ფერის ყვავილებით. 64. ვაშლის წვენის დადუღებით მიღებული ალკოჰოლური სასმელი. 65. მდინარე აშშ-ში. 66. სახელმწიფო ევროპაში. 67. შხამიანი ცხოველი. 68. თაღლითური ფინანსური სქემა. 69. სოფელი, რომლის სიახლოვესაც 1569 წელს გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის. 70. კარდამონი.

შვეულად: 1. „ღმერთის ხელის“ ავტორი. 2. ტბა დუშეთის მუნიციპალიტეტში. 3. წყლის ტრანსპორტი. 4. ქვეყანა ჩრდ. აფრიკაში. 5. კაფე, რომელიც მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ფოიეში. 6. სამარხი ნაგებობა. 7. ერთ-ერთი საგვარეულო რომანში „სატახტოთა თამაში“. 8. აშშ-ის შტატი. 9. თავადი, რომელმაც გასცა 1832 წლის შეთქმულება. 10. გ. დანელიას ფილმი. 11. აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი. 12. 1994 წელს შექმნილი ანიმაციური პერსონაჟი. 16. სხეულთა ურთიერთმიზიდულობა. 18. მუსიკალური ნაწარმოები ერთი ან რამდენიმე საკრავისათვის. 25. მარადმწვანე მცენარე. გამოიყენება კულინარიაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში. 26. რაიმე საქმის წამოწყება. 29. წერილობითი კოლექტიური თხოვნა. 30. ძველბერძენი ფილოსოფოსი. 31. ქალაქი ჩინეთში. 34. დათვისებრთა ოჯახის ცხოველი. 35. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა. 37. „ნაპოლის“ ქართველი ვარსკვლავი. 38. ქართველი მხატვარი. 40. ის, რისი ბოლოც კეთილია. 41. ქართული ლიტერატურული ჟურნალი. 48. ამერიკელი მოკრივე. 49. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას. 52. რაინის მარჯვენა შენაკადი. 53. უდაბნო სამხრეთ ამერიკაში. 55. შოკოლადის სამშობლო. 56. კლარკის მეწყვილე. 57. თევზი მოვარდისფრო ხორცით. 58. დენის ძალის საზომი ერთეული. 60. ესპანელი პოეტი და დრამატურგი. 63. უფასო ყველის მსხვერპლი.

ვიქტორინა. სწორი პასუხი გააფერადეთ, როგორც საარჩევნო ბიულეტენი.

1. ვისი სახლ-მუზეუმი მდებარეობს სოფელ ბარდნალაში?
- ○ ტიციან ტაბიძის
- ○ ლადო ასათიანის
- ○ ტერენტი გრანელის
- ○ ვალერიან გაფრინდაშვილის
- ○ მირზა გელოვანის

2. კარლო კოლოდის ზღაპრის ერთ-ერთ ეპიზოდში პინოქიოს დაგრძელებული ცხვირი დაამოკლეს:
- ○ მტრედებმა
- ○ ბეღურებმა
- ○ ყვავებმა
- ○ კოდალებმა
- ○ ბულბულებმა

3. ერედივიზიონის რომელ კლუბში ასპარეზობდა გურამ კაშია 2010-2018 წლებში?
- ○ „აიაქსი“
- ○ „ტვენტე“
- ○ „ვიტესი“
- ○ „ალკმაარი“
- ○ „სპარტა“

4. გადმოცემის თანახმად, რომელი ღვთაების ქანდაკება აგვირგვინებდა ალექსანდრიის შუქურას?
- ○ ჰერმესის
- ○ პოსეიდონის
- ○ გეას
- ○ ჰელიოსის
- ○ აპოლონის

5. ვინ იყო მოყვარული მხატვარი, რომელმაც ჩარლზ მორინის ფსევდონიმით 500-მდე ნახატი შექმნა?
- ○ კარლ მარქსი
- ○ პრინცი ალბერტი
- ○ ბერნარდ შოუ
- ○ უინსტონ ჩერჩილი
- ○ ჩარლი ჩაპლინი

6. რომელია ევროპაში ერთადერთი ადგილი, სადაც მაიმუნები ველურ ბუნებაში ბინადრობენ?
- ○ მალტა
- ○ ბასკონია
- ○ კორსიკა
- ○ სიცილია
- ○ გიბრალტარი

7. რომელი ქვეყნის მიერ წარდგენილ ფილმებს აქვთ მოგებული ყველაზე მეტი – 14 ოსკარი საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში?
- ○ იტალია
- ○ საფრანგეთი
- ○ იაპონია
- ○ შვედეთი
- ○ სამხრეთ კორეა

8. დიდი ტბებიდან მხოლოდ ერთი მდებარეობს მთლიანად აშშ-ის ტერიტორიაზე. რომელია ეს ტბა?
- ○ ზემო ტბა
- ○ მიჩიგანის ტბა
- ○ ონტარიოს ტბა
- ○ ერის ტბა
- ○ ჰურონის ტბა

9. ლეგენდის თანახმად, რომელ პოეტს დაჰპირდა სულთანი მაჰმუდ ღაზნევი ოქროს მონეტას პოემის თითოეული ბეითისთვის, ანუ ორსტრიქონედისთვის?
- ○ ჰაფეზს
- ○ რუდაქის
- ○ ფირდოუსის
- ○ ნიზამის
- ○ საადის

10. სალამინის ბრძოლაში სპარსელების დიდ დანაკარგს ჰეროდოტე ხსნიდა იმით, რომ მათ...
- ○ განარისხეს ზევსი
- ○ არ ჰყავდათ კავალერია
- ○ ჰქონდათ ცუდი აბჯარი
- ○ არ ჰყავდათ სპილოები
- ○ არ იცოდნენ ცურვა

კროსვორდისა და ვიქტორინის პასუხები შემდეგ ნომერში



- თომას ედისონმა თავის შვილებს უცნაური მეტსახელები შეარქვა – „წერტილი“ და „ტირე“. შთაგონების წყარო, ცხადია, მორზეს ანბანი იყო.

.....

- 2009 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბავშვებს, რომლებიც თანატოლებზე გვიან იღვიძებენ და იძინებენ, ანუ ე.წ. „ბუებს“, უფრო მაღალი IQ აქვთ, ვიდრე „ტოროლებს“, რომლებიც დილაადრიან იღვიძებენ და ადრე იძინებენ.

.....

- კოალა ერთადერთი არაპრიმატია, რომელსაც თითის ანაბეჭდები აქვს. მეტიც, მისი თითის ანაბეჭდები ადამიანის ანაბეჭდებისგან თითქმის განურჩეველია. ამან შესაძლოა პრობლემები შეუქმნას პოლიციას – დანაშაულის ადგილზე კოალამ რომ ჩაიაროს, გამოძიებას დიდი თავსატეხი გაუჩნდება. საბედნიეროდ, კოალები არც ისე ხშირად დასეირნობენ ადამიანების სიახლოვეს.

- ვატიკანის ბანკი მსოფლიოში ერთადერთია, რომელიც მომხარებელს აძლევს საშუალებას, ბანკომატით სარგებლობისას აირჩიოს ლათინური ენა.

.....

- 1932 წელს ავსტრალიელი ფერმერების მოსავალს შეესივნენ ემუები – არამფრინავი ფრინველები. მათთან საბრძოლველად ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯარისკაცები მიავლინეს, მაგრამ ამაოდ – ემუები დიდ ფართობზე იფანტებოდნენ და ტყვიამფრქვევების გამოყენებას აზრი ეკარგებოდა. მოსავლის უდიდესი ნაწილი განადგურდა, ხოლო ემუების პოპულაცია, ამ სპეციალური სამხედრო ოპერაციის შედეგად, არსებითად არ შეცვლილა. ეს მოვლენა ავსტრალიის ისტორიაში შევიდა, როგორც „ომი ემუებთან“.

.....

- ატომური ბომბის მამად წოდებული რობერტ ოპენჰაიმერი ბავშვობაში მინერალოგიით იყო გატაცებული. პატარა „ოპიმ“ ისეთი მიმოწერა გააჩაღა ნიუ იორკის მინერალოგიური საზოგადოების
წევრთან, რომ მალე კლუბში ლექციის წასაკითხად მიიწვიეს. დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მომხსენებლად 12 წლის მორცხვი ბიჭუნა მოევლინათ. მეცნიერებმა გაამხნევეს რობერტი, მან კი საინტერესო ლექცია წაიკითხა და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.



- ქართულ და ინგლისურ ენებში ოთხი ერთადერთი რიცხვია, რომლის აღმნიშვნელ სიტყვაშიც იმდენივე ასოა, რამდენსაც თავად ეს რიცხვი აღნიშნავს.

.....

- სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, აბრაამ ლინკოლნი ჩემპიონი მოჭიდავე იყო. დაახლოებით 300 ბრძოლიდან ლინკოლნს მხოლოდ ერთი ჰქონდა წაგებული.

.....

- 2000 წელს მსოფლიოში 100 წელს გადაცილებული 151 000 ადამიანი ცხოვრობდა. 2021 წლისთვის ასეთი დღეგრძელი ადამიანების რაოდენობა დაახლოებით 3,8-ჯერ გაიზარდა და 573 000-ს შეადგენდა.

.....

- მწვანე თვალები დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, უფრო ხშირად – ქალებს.

.....

- ბავშვობაში ქენძაბურო ოეს ძალიან უნდოდა, ფიზიკოსი გამხდარიყო. დედას იმასაც კი შეჰპირდა, რომ ნობელის პრემიას მიიღებდა. ოე გაიზარდა, გახდა მწერალი და 1994 წელს მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურაში. სოფელში ჩასულმა ქენძაბურომ დედას ახარა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. დედამ ეს მიღწევა არ ჩაუთვალა პირობის შესრულებად – პრემია ხომ ფიზიკაში უნდა მიგეღოო.

.....

- ალჟირში, სირიაში, ერაყსა და იორდანიაში ეროვნული გამოცდების დროს, გადაწერის საფრთხის თავიდან ასარიდებლად, მთელ ქვეყანაში თიშავენ ინტერნეტს.

- კანარის კუნძულებზე იზრდება დრაკონის ხე, რომელიც განთქმულია უჯრედის წითელი წვენით. ამ წვენს დრაკონის სისხლს ეძახიან. ერთი ვერსიით, სწორედ დრაკონის ხის ფისია ის საიდუმლო ინგრედიენტი, რომელიც სტრადივარიუსის ვიოლინოებს განსაკუთრებულ შეფერილობას აძლევს.

.....

- შვეიცარიაში აკრძალულია მხოლოდ ერთი ზღვის გოჭის ყოლა – ცხოველს მეწყვილე სჭირდება, რათა თავი მარტოსულად არ იგრძნოს.

.....

- პირველი ფილმი „ტიტანიკის“ შესახებ ამერიკის კინოეკრანებზე გემის ჩაძირვიდან ზუსტად 31 დღეში გამოჩნდა. ფილმში მთავარ როლს ასრულებდა მსახიობი დოროთი გიბსონი, რომელიც „ტიტანიკზე“ იმყოფებოდა და პირველივე სამაშველო ნავით გააღწია სამშვიდობოს. გიბსონი სცენარის თანაავტორიც იყო.

.....

- მათთვის, ვისაც ელვის პრესლის გამოსახულებიანი სუვენირები ვერ შეასაღა, მომღერლის მენეჯერმა გამოუშვა სამკერდე ნიშნები წარწერით „მე მძულს ელვისი“.

ხერხი სჯობია ღონესა ☺

პერიოდული გამოცემა. ტირაჟი 100 000. დამკვეთი: ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ერთობა გვარამია მელია“.
ს\კ 415030022. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბესიკის ქ. 4, ბ. 66.
დაიბეჭდა შპს „ტორის“ სტამბაში. ს\კ 202052820. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ნაძალადევის რაიონი. ზიგზაგის ქ. 6.